Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 43 (120) გამოც. მე-3 წელი ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 30 ოქტომბერი, 1944 წ.

საყოველთაო სახალხო ლაშქარი

მთელი გერმანელი ხალხი მზად არის დაიცვას თავისი სამშობლო

ადოლფ ჰიტლერის ბრძანება

„ხუთი წლის მძიმე ბრძოლების შემდეგ, ყველა ჩვენი ევროპელი მოკავშირის ჩამოშორების შედეგად, ზოგიერთ ფრონტზე მტერი ხდება გერმანიის საზღვრების ახლოს ან თვით საზღვრებზე. იგი ძაბავს მთელ თავის ძალებს, რათა გაანადგუროს ჩვენი სახელმწიფო, გერმანელი ხალხი და მისი სოციალური წყობა. მის საბოლოო მიზანს შეადგენს ყველა გერმანელის მოსპობა.

ისევე, როგორც 1939 წლის შემოდგომაზე, ჩვენ ყველა ფრონტზე მარტონი ვდგავართ მტრების წინააღმდეგ. მაშინ, სულ 2-3 წლის განმავლობაში, გერმანელი ხალხის მთელი ძალების ბრძოლაში შეყვანით, ჩვენ შევძელით გადაგვეწყვიტა ყველაზე ძნელი სამხედრო პრობლემები, შევძელით ჩვენი სახელმწიფოსა და ამით მთელი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა რამოდენიმე წლით. იმ დროს, როდესაც მტერი დარწმუნებულია, რომ იგი შეძლებს მოგვაყენოს გადამწყვეტი დარტყმა, ჩვენ ახლავე ვართ გადაწყვეტილებით — განვახორციელოთ ჩვენი ხალხის მეორე ტოტალური მობილიზაცია. როგორც 1939-41 წლებში, დავეყრდნობით რა, მხოლოდდამხოლოდ საკუთარ ძალებს, ჩვენ უნდა შევძლოთ და შევძლებთ კიდეც, არამარტო მტრის ნების გატეხვას, არამედ განდევნასაც კი ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებიდან. ჩვენ შევაჩერებთ მტრებს ჩვენი საზღვრებიდან მოშორებით მანამდე, ხანამ არ იქნება უზრუნველყოფილი გერმანიის, მისი მოკავშირეებისა და ამით მთელი ევროპის მომავალი.

ჩვენი მტრების, საერთაშორისო ურიობის ტოტალურ სურვილს — მოსპონ გერმანელი ხალხი, — ჩვენ უპირისპირებთ ყველა გერმანელის ტოტალურ მზადყოფნას.

იმ მიზნით, რომ მოხდეს ჩვენი არმიის აქტიური ძალების გაძლიერება და განსაკუთრებით იმისათვის, რომ ვაწარმოვოთ შეუბრალებელი ბრძოლა ყველგან, სადაც კი მტერი მოისურვებს გერმანიის მიწაზე ფეხის მოკიდებას, მე მოვუწოდებ ბრძოლისაკენ ყველა გერმანელს, ვისაც აქვს უნარი იარაღის ტარებისა.

მე ვბრძანებ:

1. დიდი გერმანიის სახელმწიფოს ყველა ოლქში ჩამოყალიბდეს სახალხო ლაშქარი, რომელშიც უნდა გაერთიანდნენ იარაღის ტარების უნარის მქონე ყველა მამაკაცი 16-დან 60-წლამდე. სახალხო ლაშქარი დაიცავს სამშობლოს ყოველგვარი იარაღითა და საშუალებით, რომელიც კი აღმოჩნდება ამისათვის საჭირო და შესაფერი.

2. გერმანიის სახალხო ლაშქრის ჩამოყალიბებასა და ხელმძღვანელობას ოლქებში, იღებენ თავისთავზე ოლქის ხელმძღვანელები. დამხმარეებათ მათ უპირველესყოვლისა ახლავთ სს-ის, სა-ს, ნაციონალ-სოციალისტური მოტორიზებული კორპუსისა და ჰიტლერული ახალგაზრდობის იმ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, რომელთაც უკვე თავი ისახელეს მუშაობაში.

3. სა-ს შტაბის უფროსს შეპმანს ვნიშნავ ინსპექტორად სროლის სწავლების დარგში, ხოლო ნაციონალ-სოციალისტური მოტორიზებული კორპუსის უფროსს კრაუსს — ინსპექტორად სახალხო ლაშქრის ტექნიკური სწავლების დარგში.

4. გერმანიის სახალხო ლაშქრის მებრძოლები სამსახურის დროს ითვლებიან ჯარისკაცებად, სამხედრო ვალდებულთა კანონის საფუძველზე.

5. სახალხო ლაშქრის მებრძოლები რჩებიან იმ სახელმწიფო ორგანიზაციების განკარგულებაში, სადაც ისინი მსახურობენ. გერმანიის სახალხო ლაშქარში სამსახურს უნდა მიეცეს უპირატესობა, სხვა ორგანიზაციებში სამსახურთან შედარებით.

6. სს-ის საიმპერიო ხელმძღვანელი, როგორც სათადარიგო ნაწილების სარდალი, პასუხისმგებელია გერმანიის სახალხო ლაშქრის შეიარაღების, მომარაგებისა და აგრეთვე სამხედრო ინსტრუქტორების ორგანიზაციის საქმეში.

7. გერმანიის სახალხო ლაშქარი იწყებს სამხედრო მოქმედებას ჩემი მითითებების მიხედვით და სს-ის საიმპერიო ხელმძღვანელის, როგორც სათადარიგო ნაწილების სარდლის განკარგულებით.

8. სამხედრო დადგენილებებს, ყველა განკარგულებათა ცხოვრებაში გასატარებლად, სცემს სს-ის საიმპერიო ხელმძღვანელი, სათადარიგო ნაწილების სარდალი ჰიმლერი, ხოლო პოლიტიკურსა და საორგანიზაციო დადგენილებებს, ჩემი დავალებით — საიმპერიო ხელმძღვანელი ბორმანი.

9. ნაციონალ-სოციალისტური პარტია, აყენებს რა ამ ბრძოლაში, პირველ რიგში თავის ორგანიზაციებს, გერმანელი ხალხის მიმართ ასრულებს უდიდეს ღირსების მოვალეობას.

ადოლფ ჰიტლერი".

სს-ის საიმპერიო ხელმძღვანელი ჰიმლერი მებრძოლთა შორის

ჰიმლერის სიტყვა სახალხო ლაშქრის ნაწილებისადმი

ადოლფ ჰიტლერის ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ, სს-ის საიმპერიო ხელმძღვანელმა ჰიმლერმა, აღმოსავლეთ პრუსიის ერთერთ ქალაქში, სიტყვით მიმართა გერმანიის სახალხო ლაშქრის ნაწილებს.

1944 წლის 18 ოქტომბერს, ლაიპციგთან მომხდარ „ხალხთა ბრძოლის" წლისთავზე, — დაიწყო თავისი სიტყვა ჰიმლერმა, — გერმანიის არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა ადოლფ ჰიტლერმა, მოუწოდა სამშობლოში დარჩენილ ბრძოლისუნარიან მამაკაცებს, იბრძოლონ სამშობლოსათვის სახალხო ლაშქრის რიგებში.

შემდეგ ჰიმლერმა გააკეთა გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა 1939 წლიდან დაწყებული. მან აღნიშნა ის ფაქტი, რომ ადოლფ ჰიტლერმა, ომის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე და აგრეთვე 1940 წლის გაზაფხულზე, გერმანიის მტრებს გაუწოდა სამშვიდობო ხელი, მაგრამ მტრებმა ის უარყვეს. საბჭოთა კავშირი, თავისი მრავალმილიონიანი არმიებით, ყოველთვის ემუქრებოდა გერმანიას და მთელ ევროპას. გერმანულმა არმიამ, თავისი ბრწყინვალე ლაშქრობით, შორს გადისროლა ბოლშევიკები გერმანიის საზღვრებიდან. მაგრამ მთელი რიგი წარმატებების შემდეგ, ბედმა მოისურვა გამოეცადა გერმანელი ხალხი. 1941 წლის ლაშქრობის შემდეგ, გერმანიის მოკავშირეთა სისუსტისა და ღალატის შედეგად, მოხდა სტალინგრადის ტრაგედია, ხოლო 1943 წლის ზაფხულში ბადოლიოს ღალატმა დაამსხვრია მუსოლინის მიერ დაწყებული დიადი საქმე.

აღმოსავლეთში, საბჭოთა ჯარებმა, მრავალი წლის მძიმე ბრძოლების შემდეგ, შესძლეს წინწამოწევა და ეხლა ბოლშევიკები მოადგნენ გერმანიისა და აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებს.

შემდეგ ჰიმლერმა დაახასიათა მდგომარეობა, რომელიც სუფევს საბჭოთა კავშირში. დიდია გაჭირვება საბჭოთა მიწა-წყალზე. იუდა-ბოლშევიზმი მიმართავს ტერორის ყველა საშუალებას, რათა ბრძოლის ველზე გარეკოს რაც შეიძლება მეტი მასები. გამოიყენება ნაციონალური, დემოკრატიული და რელიგიოზური ლოზუნგებიც კი. „მაგრამ ამის პასუხად, ძლიერდება საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ".

ომი, გერმანიის დასავლეთი მოწინააღმდეგეებისთვისაც თანდათან უფრო მძიმე ხდება. ავგუსტოში, ავიაციის საშუალებით მათ შესძლეს გაერღვიათ ნორმანდიის ფრონტი, მაგრამ მტრების მოლოდინის საწინააღმდეგოდ გერმანიის არმიამ, უკანასკნელი ექვსი კვირის განმავლობაში შექმნა ფრონტის 900-კილომეტრიანი მტკიცე ხაზი. თავისი ძალების უკიდურესი დაჭიმვისა და უდიდესი მსხვერპლის გაღების შედეგად, ინგლისამერიკელებმა შესძლეს მოახლოვებოდნენ გერმანიის 1939 წლის საზღვრებს და დაეკავებინათ საზღვრის ზოლზე უმნიშვნელო სივრცე.

საერთაშორისო ურიობა, მასონები და დემოკრატია იყენებენ ყველა საშუალებას, რათა აამხედრონ მშვიდობიანი ერები გერმანიის წინააღმდეგ. მათი გამცემლური მოქმედებებითა და ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის სიბეცითა და სულმოკლეობით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ რუმინეთის, ფინეთისა და ბულგარეთის ხალხებმა დაჰყარეს იარაღი და ამით, თავისი სურვილით მივიდნენ ეროვნულ თვითმკვლელობამდე.

შემდეგ ჰიმლერმა მიუთითა, რომ გერმანიამ, უკანასკნელ ხანებში, კიდევ უფრო განამტკიცა თავისი სამხედრო ძლიერება. „თვითეული კილომეტრი, რომელიც მტერმა შეიძლება კიდევ დაიკავოს, დაუჯდება მას ზღვა სისხლად". — სთქვა ჰიმლერმა.

ადოლფ ჰიტლერის ბრძანებით ოლქის ხელმძღვანელები ჩამოაყალიბებენ სახალხო ლაშქრის ათასეულებს. სახალხო მებრძოლნი მოკლე ხანში მიიღებენ იარაღს და შეისწავლიან სამხედრო საქმეს.

„ჩვენ ფიცსა ვდებთ, — სთქვა ჰიმლერმა, — რომ ისეთივე ერთგულნი ვიქნებით, როგორიც იყვნენ ჩვენი მამები. ჩვენ ვიქნებით ერთგულნი ჩვენი ფიურერისა, რომელიც მოავლინა ჩვენთან განგებამ, ჩვენი სახელმწიფოსი, რომელმაც გააერთიანა გერმანელთა ყველა ტომი, ჩვენი ხალხისა და ჩვენი საკუთარი თავისა, ვინაიდან ჩვენ უნდა დავიცვათ ყველაზე უფრო ძვირფასი რამ, ეს არის გერმანელი ხალხის მარადისობა, მათი ქალები, ბავშვები, მისი სისხლი, რომელმაც ამდენი რამ შექმნა კაცობრიობას.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანულმა სულმა შექმნა თანამედროვე ტექნიკის სასწაულები, როგორიც მაგალითად „V1", რომელიც უკვე დიდიხანია ანადგურებს მტრების სასიცოცხლო ცენტრებს.

ჩვენ ვიცით, რომ ისევე, როგორც დაიწყო მოქმედება ამ პირველმა იარაღმა, მტერს თავს დაატყდება რისხვა ჩვენი შემდგომი გამოგონებებისა".

დაბოლოს, ჰიმლერმა მიმართა აღმოსავლეთ პრუსიის სახალხო ლაშქრის მებრძოლებს და მოუწოდა მათ არ დაიშურონ თავისი ძალღონე, როდესაც ეს საჭირო შეიქნება ერისათვის.

მძიმე გამოცდის დღეები და თვეები ჯერკიდევ წინ არის, მაგრამ ჩვენ დავძლევთ მათ. „ჩვენ ღრმად გვწამს, — დაამთავრა თავისი სიტყვა ჰიმლერმა, — რომ განგება მოუტანს დამსახურებულ გამარჯვებას ფიურერსა და მის ხალხს".

რიბენტროპის მილოცვა

იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ რიბენტროპმა, იაპონიის საიმპერატორო საგარეო საქმეთა მინისტრს შიგემიცუს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„კუნძულ ფორმოზასთან, საიმპერატორო საჰაერო და საზღვაო ძალების ბრწყინვალე გამარჯვების გამო, მივმართავ თქვენს უდიდებულესობას ჩემი გულწრფელი სურვილებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ეს ახალი წარმატება შევა ეხლანდელი ომის ისტორიაში და ამასთანავე გადაიქცევა პირველ ეტაპად ჩვენი საერთო მტრების საბოლოო დამარცხების გზაზე.

მოსკოვის კონფერენცია დამთავრდა

მოსკოვში გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე ჩერჩილის, იდენისა და სტალინის კონფერენციის დამთავრების შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა 9-დან 18-ოქტომბრამდე. მიღებული რეზოლუცია კვლავ ადასტურებს მოკავშირეთა სურვილს — გადასცენ ევროპა ბოლშევიკებს და გაანადგურონ მისი მოსახლეობა. რეზოლუციაში ნახსენებია აგრეთვე თეირანისა და ქვებეკის დადგენილებათა ზოგიერთი მუხლი. ეს დადგენილებანი მოსკოვის თათბირზე კვლავ იქნენ გამოტანილნი განხილვისა და შემოწმებისათვის.

კომუნიკეში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი ბულგარეთის, რუმინეთისა და საბერძნეთის დამოუკიდებლობაზე. არ არის ნახსენები აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოები და ფინეთი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩერჩილი მთლიანად იზიარებს სტალინის პოლიტიკას.

ლონდონის ემიგრანტები ბრაზილიაში გარბიან

პოლონელი ემიგრანტების კომიტეტმა ლონდონში მოახერხა თავისი წევრებისათვის ბრაზილიაში წასვლის ნებართვის მიღება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაბიჯი პოლონელმა ემიგრანტებმა გადადგეს მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ მიკოლაიჩიკი ვერ შესძლებს რაიმე დამაკმაყოფილებელი პასუხის მიღებას მოსკოვში.

რიო დე ჟანეიროდან მიღებული ცნობების თანახმად ბრაზილიის მთავრობამ ნება დართო პოლონელებს ჩასვლაზე.

მეოთხე ინტერნაციონალი?

დ. ხალირაშვილი

გერმანიის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა სოციალისტურ და კომუნისტურ წრეებში ტრიალებს აზრი მეოთხე ინტერნაციონალის დაარსების შესახებ. გაყრილი ძმები, რომელნიც აქამდე თავზე ლაფს ასხამდნენ ერთმანეთს, აპირებენ ერთად თავმოყრას. მათ სურთ შექმნან ახალი „ინტერნაციონალი“.

საგულისხმოა, რომ ინიციატივა ასეთი წამოწყებისა უფრო ბოლშევიკებს ეკუთვნით. როგორც ჩანს მათ უკიდურესი გაჭირვება ამოქმედებთ, თორემ ჯერ კიდევ გუშინ, ევროპის ყოველგვარი ზომიერი სოციალისტები, მათ მიერ „სოციალისტ-მოღალატეებად“ იყვნენ მონათლული. მაგრამ, სტალინის პარტიას ხომ უპრინციპობა ახასიათებს. მათ სწამთ მხოლოდ ერთი პრინციპი, რომელსაც ისინი არასოდეს უღალატებენ. ეს არის — ხელისუფლების შენარჩუნება. ეხლაც სრულიად არ არის საკვირველი, რომ მათ, „მუშათა კლასის მოსისხლე მტრებს“, კაპიტალისტებს ხელი გაუწოდეს. არ არის საკვირველი, რომ ისინი ცდილობენ სხვა ქვეყნების სოციალისტებთან საერთო ენა გამონახონ. ყველაფერი ეს, მათ დროებით სურთ, ვინაიდან, გაივლის თუ არა ეს გაჭირვებული დრო, მგელი ისევე ტყისაკენ დაიწყებს ყურებას. „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხოთ ქვიშითა“. თუ ბოლშევიკები მიდიან ასეთ დათმობაზე ე. ი. სოციალისტებთან შეთანხმებაზე, მათ, ცხადია, მზაკვრული მიზნები ამოძრავებთ. მათ სურთ ზომიერ სოციალისტების ზურგზე, მუშათა რიგებში თავისი საკუთარი პოზიციები გაიმაგრონ. მათი აზრით, სწორედ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა არის ხელსაყრელი გამხრწნელი „მუშაობისათვის“, რადგისაც მსოფლიო ომის საშინელებათა გამო, ყველგან უკიდურესად დაიწია ცხოვრების დონემ და ფართო მასებიც სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მეორე მხრით, ევროპის სოციალისტებს გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ მათი ლენინი ძმა მოთვინიერდა, დაწყნარდა, გაევროპელება დაიწყო და მუშათა მოძრაობის გამხელებლად კი აღარ გამოვა, როგორც წარსულში, არამედ ერთ სოციალისტურ კალაპოტში ჩადგება. ვაი შესაბრალისო გულუბრყვილობავ!

აი, ამ ორმა მოსაზრებამ წარმოშვა, ჩვენი აზრით, მისწრაფება „მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის“ დაარსებისა. მაგრამ, ვფიქრობთ ამაოდ, ვინაიდან „ინტერნაციონალების“ ზედიზედ დაშლის მიზეზები უფრო ღრმა და სერიოზულია. მათი კრიზისები სხვა გარემოებებით იყო გამოწვეული. „ინტერნაციონალებს“ საფუძვლად არაბუნებრივი პრინციპები ედო, რომელნიც დასაწყისშივე იწვევდნენ მათ კატასტროფას და რადგისაც იქმნებოდა სერიოზული საერთაშორისო მდგომარეობა საპნის ბუშტებივით სკდებოდნენ. ასეთი მტკიცების დასაბუთებისათვის ჩვენ დაგვჭირდება გავიხსენოთ მოკლედ ზოგიერთი ცნობები „მუშათა ინტერნაციონალების“ ისტორიიდან.

პირველი სოციალისტური ინტერნაციონალი, „საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის“ სახელწოდებით, დაარსდა ლონდონში 1864 წელს. როგორც ცნობილია, მას ფრია მარქსი მეთაურობდა. ეს ორგანიზაცია იყო უკიდურესად ცენტრალისტური. ინტერნაციონალში წარმოდგენილი ერების სექციებს ევალებოდათ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოს ყოველ გადაწყვეტილებას და თავის ქვეყნებში ემოქმედათ მათ საფუძველზე, მიუხედავად იმისა, შეეფერებოდა თუ არა ეს გადაწყვეტილება ადგილობრივ პირობებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ცალკეულ სექციებს განუწყვეტელი უთანხმოებანი ჰქონდათ ინტერნაციონალის აღმასრულებელ ორგანოსთან.

მარქსის შეხედულებამ, რომ ყველა ქვეყნის მუშათა კლასს ერთი განუყოფელი ინტერესი აქვს და იგი მხოლოდ კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს ეწინააღმდეგება, — ინტერნაციონალში სრულიად წაშალა ცალკე ეროვნებათა სახე. მარქსი ვერ ამჩნევდა, ან არ უნდოდა შეემჩნია, რომ მუშათა კლასს, გარდა თავისი ვიწრო ინტერესებისა, აქვს კიდევ საერთო, ეროვნული ინტერესები. „კომუნისტური მანიფესტი“ ასეთი სტრიქონებით იწყება: „საზოგადოების მთელი ისტორია აქამდე იყო მხოლოდ კლასთა ბრძოლის ისტორია“. ამ დებულებიდან გამომდინარეობს მარქსის ისტორიულ-ფილოსოფიური, პოლიტიკური, ეკონომიური და ტაქტიკურ-ორგანიზაციული კონცეპცია და, ვინაიდან ეს დებულება არის ყალბი, ყოველშემთხვევაში, ცალმხრივი, ამიტომ მისი მთელი მოძღვრებაც არის ცხოვრებისათვის შეუფერებელი და მავნებელი.

როგორ? განა საზოგადოების ისტორია მარტო კლასთა ბრძოლაა? საზოგადოებებს და ერებს თუ არ ჰქონდათ საერთო ეროვნული ინტერესები, როგორ გასძლეს მათ საუკუნეების მანძილზე? როგორ იარსება მრავალმა ცალკეულმა ტომმა, ფეოდალურმა წყობამ და თვით ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ, რომლის დროსაც შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოები? საერთო ინტერესებისათვის ებრძოდა ტომი ტომს, ერთი ფეოდალური ერთეული მეორეს. ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც ებრძოდნენ ერთმანეთს და ეს ბრძოლაც ხალხის საერთო ინტერესებიდან გამომდინარეობდა. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოუდგენელი იქნებოდა რაიმე შემოქმედებითი მუშაობა საზოგადოების შიგნით, რომ მასში მხოლოდ მტრობა ყოფილიყო გაბატონებული. გაუგებარი იქნებოდა იმ უდიდესი ცივილიზაციის შექმნა, რომლითაც ხასიათდება ხალხთა ცხოვრების ყოველი ცალკე ხანა.

პირველი ინტერნაციონალი ცხრა წლის შემდეგ დაიშალა.

1889 წელს დაარსდა მეორე სოციალისტური ინტერნაციონალი. მისი დამაარსებელნი შეეცადნენ, რომ ის შეცდომები, რომლებმაც დაღუპა პირველი ინტერნაციონალი, აღარ გაემეორებინათ. მასში შემავალი ეროვნული სექციები შედარებით ავტონომიური იყვნენ თავიანთ მოქმედებაში. ცენტრალურ ორგანოს, აღმასრულებელი კომიტეტის სახით, ჰქონდა მხოლოდ კონტროლის და არა ვეტოს უფლება, როგორც ეს პირველ ინტერნაციონალში იყო. მაგრამ ის მთავარი სენი, რომელიც ყველა ასეთ „ინტერნაციონალებს“ ახასიათებთ, ე. ი. რომ მუშათა კლასს თავისი ერის სხვა ნაწილებთან არაფერი აქვს საერთო და ერი გაყოფილია ორ შეურიგებელ ნაწილად, მაინც დარჩა. ეს ნიშნავდა ერის, როგორც ცოცხალი არსების, უარყოფას, ვინაიდან თუ მართლაც მუშას არავითარი ინტერესი აღარ აკავშირებს ერთან, მასში შემავალ, სხვა ელემენტებთან და, პირიქით, ის უფრო ახლოა, ორგანიულად დაკავშირებულია სხვა ერის მუშებთან, აქედან ლოღიკურად გამომდინარეობს, რომ მუშას მართლაც სამშობლო აღარ ჰქონია. „კომუნისტურ მანიფესტში“ ამის შესახებ სიტყვასიტყვით ნათქვამია: „მუშებს არა აქვთ სამშობლო. არ შეიძლება წაართვათ მათ ის, რაც არა აქვთ“. ამ დებულების ორგვარად გაგება შეუძლებელია.

ეს დებულება, რომ ცხოვრების სინამდვილეს არ გამოხატავს და, პირიქით, ძირფესვიანად ეწინააღმდეგება მას, დამტკიცდა ამბების შემდგომი განვითარებით. პირველი მსოფლიო ომის დროს, ევროპის ქვეყნების მუშები ბრძოლის ველზე გაჩნდნენ და ფრონტის სხვადასხვა მხარეზე მოექცნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ ომი გაბატონებული კლასების მისწრაფებებით იყო გამოწვეული. მაგრამ, რადგანაც დაიწყო ეს საშინელი ომი და სამშობლოც საფრთხეში ჩავარდა, მუშებმაც მიიღეს მასში მონაწილეობა. ამ კრიტიკულ მომენტში აშკარა გახდა, რომ ერების შემადგენელ ნაწილებს ჰქონიათ საერთო ინტერესები. გერმანიის დამარცხებით იზარალა არამარტო „კაპიტალისტთა კლასმა“, არამედ, ეს დამარცხება, უფრო მძიმე ტვირთად დააწვა მუშათა კლასს. ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ, გერმანიაში 6 მილიონი უმუშევარი გაჩნდა, რომელთა მდგომარეობაც მეტად უმწეო იყო. როგორც ჩანს, ყოფილა ბევრი რამ, გარდა „ბორკილებისა“, რომელიც მუშათა კლასმა შეიძლება დაჰკარგოს.

მეორე ინტერნაციონალი მოკვდა პირველი მსოფლიო ომის გამოცხადების დღიდანვე.

მესამე ინტერნაციონალი სინამდვილეში სრულიადაც არ იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამაერთიანებელი ორგანო. პირიქით, ის უფრო გამთიშავი აღმოჩნდა და ზომიერმა სოციალისტებმა ისიც გაიგეს. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, რის ნიადაგზე 1923 წელს, ჰამბურგში მოწვეულ იქნა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობის გამაერთიანებელი კონგრესი, სადაც მეორე ინტერნაციონალი გამოაცოცხლეს. ყრილობაზე აღმოჩნდა რომ დამსწრენი იმავე სენით იყვნენ შეპყრობილნი, რამაც დაღუპა პირველი და მეორე ინტერნაციონალი. ეს, სხვათა შორის, დამტკიცდა ერთ პატარა, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის სასიცოცხლო საკითხზე. ქართველი დელეგატები ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი და ნოე რამიშვილი შეეცადნენ ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის საკითხი კონგრესის სხდომაზე დაესვათ. საკითხი თითქოს სრულიად ნათელი იყო. „სოციალისტური სინდისი“ უნდა ამხედრებულიყო იმ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს. ერის თვითგამორკვევის პრინციპი, სავალდებულო ყველა ჯურის სოციალისტებისათვის, საბჭოთა რუსეთის მიერ გათელილი იქნა. ჩვენთვის, ამ ყრილობაზე დამსწრეთაგანისათვის მაშინვე ნათელი შეიქნა, რომ კონგრესის მეთაურთ და სულის ჩამდგმელთ ქართული საქმისათვის არა სცხელოდათ. ინგლისის დელეგატი ჰენდერსონისათვის გაუგებარიც კი იყო ქართველ დელეგატების ცდა ამ საგანზე. ბოლოს, ირაკლი წერეთლის პირადი ნაცნობობით, როგორც იყო მიღებულ იქნა პლატონური ხასიათის რეზოლუცია საქართველოს სასარგებლოდ. კონგრესმა საესებით დამარწმუნა, რომ ერთა თავისუფლებაზე ლაპარაკი მთლიანად ყალბი იყო. ყველას თავისი ქვეყნის დარდი აწუხებდა, და ეს, უფრო ბუნებრივიც იყო.

იყო ერთი კომიკური ცდაც ე. წ. ორ ნახევარი ინტერნაციონალის დაარსების შესახებ. ხელმძღვანელობდნენ მას ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მეთაურები ბაუერი და ადლერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატი მარტოვი და აბრამოვიჩი. მაგრამ ვენის ინტერნაციონალი, როგორც შეუმჩნევლად დაიბადა, ისიცე გარდაიცვალა.

სოციალისტური ინტერნაციონალების ისტორია ჩვენ ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ გზით მუშათა ინტერესების სამსახური შეუძლებელია. სოციალიზმის დამყარების საქმე მახინჯ, არაბუნებრივ სახეს ღებულობს. სოციალური გარდაქმნა, ყოველი ცალკე ეროვნული ერთეულის საქმეა. სოციალიზმი უკიდურესად ეროვნული მოვლენაა და ეროვნულ ფარგლებშივე უნდა გადაიჭრას. ყოველივე სხვა ცდა, ინტერნაციონალური მაშტაბით, ისიც იარაღითა და ავანტიურით სულ სხვა მიზნებს ისახავს. რიცხვით მეოთხე „ინტერნაციონალის“ დაინიშნულებაც ეს იქნება, მაგრამ ისიც ისევე უდღეო გამოდგება, როგორც მისი წინაპრები.

შეტევა მტრის მიერ დაკავებული ქალაქის განსათავისუფლებლად.

გერმანიის საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებული მტრის თვითმფრინავი.

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

დასავლეთის ფრონტზე, ბრძოლების სიმძიმის ცენტრი კვლავ ჰოლანდიაშია. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის 26 ოქტომბრის ცნობით, მტერი ხელმეორედ შეეცადა დაეკავებინა ანტვერპენის ნავსადგურისაკენ მიმავალი გზები. გერმანული ჯარების აქტიური მოქმედებებით, მტრის ეს განზრახვა ჩაიშალა. სასტიკი ბრძოლები სწარმოებს აგრეთვე კუნძულ სამხრეთ-ბეველანდის გარშემო.

ქ. ტილბურგისა და ჰერტოგენბუშის არეში გრძელდება მტრის ჭარბი ძალების შემოტევები. ჰერტოგენბუშის ქუჩებზე სწარმოებს ხელჩართული ბრძოლები. მტრის ყველა შემოტევა აქ შეჩერებულია, ხოლო ქ. ბრიუგერის არეში, გერმანულმა ნაწილებმა შესძლეს რამოდენიმე კილომეტრით წინწაწევა.

ლონდონზე კვლავ გრძელდება „V1“-ის გამანადგურებელი ცეცხლი.

შუა იტალიაში მიმდინარეობს ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები. უკანასკნელ დღეებში, მტერი აქტიობას იჩენს ქ. იმოლას გარშემო.

ბალკანეთში ბრძოლები უფრო-და-უფრო მწვავე ხასიათს ღებულობენ.

სამხრეთ უნგრეთში გერმანული და უნგრული ჯარები წარმატებით იგერიებენ მტერს. ბოლშევიკების ცდა გადმოსულიყვნენ მდ. თაისზე უშედეგოდ დამთავრდა.

აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან, ქ. ავგუსტოვში და მის გარშემო სწარმოებს სასტიკი ბრძოლები. ქ. გუმბინენთან, გერმანული ჯარი მამაცურად იგერიებს მტერს მშობლიურ მიწაზე. 24 ოქტომბრის ცნობით, ერთი დღის განმავლობაში ბოლშევიკებმა აქ დაჰკარგეს 176 ტანკი. აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან, გერმანულ რეგულარულ ჯარებთან ერთად, მოზღვავებული მტრის წინააღმდეგ მედგრად იბრძვიან სახალხო ლაშქრის ათასეულებიც. რამოდენიმე დღის სასტიკი ბრძოლების შემდეგ და უდიდესი მსხვერპლის გაღების შედეგად მტერმა შესძლო პატარა ქალაქ ებენროდეში შემოსვლა.

კურლანდიაში შეჩერებულია მოწინააღმდეგის მრავალი იერიში.

24 ოქტომბერს ჩამოგდებულია ინგლის-ამერიკელთა 31 თვითმფრინავი.

გასული კვირის განმავლობაში, ინგლის-ამერიკული თვითმფრინავები განაგრძობდნენ თავდასხმებს გერმანიის ქალაქებზე, განსაკუთრებით მდ. რეინის არეში.

შიმშილი ბრიუსელში

რამოდენიმე დღის წინათ, ბრიუსელის ქალაქისთავმა ლონდონში გააგზავნა სასწრაფო მოთხოვნილება, ბრიუსელის დამშეული მოსახლეობისთვის სურსათ-სანოვაგის გამოგზავნის შ ახებ. ქალაქისთავმა ერთ-ერთ სპეციალურ კორესპონდენტს განუცხადა, რომ საკვები პროდუქტები არ ჰყოფნის დაახლოვებით 3 მილიონ მცხოვრებს. მისი აზრით, ბელგიის გადასარჩენად საკმარისი იქნებოდა მხოლოდ 2 ან 3 პატარა გემი. მაგრამ ინგლის-ამერიკელებმა არ ისურვეს ამ გემების მიცემაც კი.

ქართული საკავშირო-შტაბის წლისთავი

25 ოქტომბერს, ბერლინში, ქართული საკავშირო შტაბის დაარსებისა და მუშაობის წლისთავთან დაკავშირებით, შესდგა გერმანიის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა საზეიმო შეხვედრა შტაბის წევრებთან.

შეხვედრას დაესწრნენ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, ქართული შტაბის წევრები, ქართველი მოხალისენი და სხვა გერმანელი და ქართველი სტუმრები.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ობერსტ-ლეიტენანტი ა. დ. ვ. რომელმაც მოკლედ დაახასიათა ქართული საკავშირო შტაბის მიერ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა და უსურვა შტაბის წევრებს მომავალშიც ნაყოფიერად იმუშაონ სამშობლოს განთავისუფლებისა და აღდგენისათვის.

სიტყვის დამთავრების შემდეგ, ობერსტ-ლეიტენანტმა ა. დ. ვ-მ, გენერალი კენტრინგის დავალებით, საერთო მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დაუღალავი და ენერგიული მუშაობისათვის, დააჯილდოვა ობერლეიტენანტი გივი გაბლიანი I კლასის მამაცობის ორდენით.

საპასუხო სიტყვაში, ობერლეიტენანტმა გივი გაბლიანმა მადლობა გამოუცხადა გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას, იმ მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენს გერმანიის ხელისუფლება ქართული საქმისა და საერთოდ ქართველებისადმი. ობერლეიტენანტმა გივი გაბლიანმა დაარწმუნა გერმანელი სტუმრები, რომ ქართველი მოხალისეები მუდამ მზად არიან იბრძოლონ გერმანიის არმიის რიგებში, ბოლშევიზმისაგან თავისი სამშობლოს განსათავისუფლებლად.

დასასრულ, ობერლეიტენანტმა გივი გაბლიანმა ობერსტ-ლეიტენანტ ა. დ. ვ-ს გადასცა ქართველ მოხალისეთა მიერ დამზადებული საჩუქრები: ლამაზად მოჩუქურთმებული ხის თასი, კავკასიური ხანჯალი და სხვ.

მტრის დიდი ჯგუფის განადგურება უნგრეთში

გერმანიის უმაღლესი სარდლობის 22 ოქტომბრის ცნობით, ნირეგიჰაზის ოლქში, გერმანული და უნგრული ჯარები გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის ჯარების მსხვილ შენაერთს. აქამდე ტყვედ წამოყვანილია 4.300 კაცი, მათ რიცხვში რუმინული მეორე ქვეით დივიზიის მეთაური, თავისი შტაბის ოფიცრებით. მოსპობილია 270 ქვემეხი, 290 ავტომანქანა და რამდენიმე საბარგო მატარებელი. მტრის ცოცხალი ძალის დანაკარგი მეტად დიდია. ჯგუფის განადგურება გრძელდება.

უნგრეთის გადარჩენა

პარლამენტის წევრთა ნაციონალური კავშირის სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: ნაციონალური კავშირი უღრმეს მადლობას უცხადებს ფრანც სალაშის უნგრელი ხალხის გაერთიანებისათვის, რომელიც მან და მისმა პარტიამ შესძლო ასეთ კრიტიკულ დროს. კავშირი აღიარებს, რომ გაერთიანებას აქვს ისტორიული მნიშვნელობა. ნაციონალური კავშირი უძლენის თავის მხურვალე სალამს აგრეთვე ახალ მთავრობას და ევედრება განგებას, რათა მან დაიცვას მთავრობა და დაეხმაროს მას თავის საქმიანობაში.

წითელი არმიის დანაკარგი

მოსკოვის რადიოს ცნობით, საბჭოთა პროფკავშირების თავმჯდომარემ კუზნეცოვმა, რომელიც, როგორც კრემლის წარმომადგენელი ესწრება პროფკავშირების ბლეკპულის საერთაშორისო კრილობას, განაცხადა, რომ ომის სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა დაკარგა შვიდი მილიონი ჯარისკაცი, 70.000 ტანკი, 60.000 თვითმფრინავი და 90.000 ქვემეხი.

მაგრამ ეჭვი არ არის, რომ წითელ არმიას აქვს გაცილებით მეტი დანაკარგი, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ტყვეების იმ რაოდენობას, რომელიც გერმანელებმა ჩაიგდეს ხელთ აღმოსავლეთის ფრონტზე.

ჩერჩილმა დასტოვა მოსკოვი

როგორც ცნობილი გახდა, ჩერჩილმა და იდენმა უკვე დასტოვეს მოსკოვი. გამგზავრების წინ, ჩერჩილმა ერთხელ კიდევ „გაითამაშა" სტალინის წინაშე. მან წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც მიმართა სტალინს სხვადასხვა „ტკბილი" გამოთქმებით. ჩერჩილმა, სხვათაშორის, სთქვა რომ მას „წილად ხვდა სიხარული და ბედნიერება" პირადათ, ინტიმურ გარემოში ესაუბრა „თავის მეგობარსა და თანამებრძოლ სტალინთან".

გადაიღო რა ლაპარაკის ბოლშევიკური კილო (ჟარგონი), ჩერჩილმა დაამტკიცა, თუ რამდენად არის დამოკიდებული დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბოლშევიკებისაგან.

30.000 ლტოლვილი

ესტონეთისა და ლატვიიდან შვეციაში ჩავიდა 30.000-დე ლტოლვილი, რომლებიც გაურბოდნენ ბოლშევიკებს. შვეციაში მათ გაუწიეს ყოველგვარი დახმარება.

შვეციის კომუნისტური გაზეთი „ნი დაგი", მთავრობის ასეთ საქციელს სთვლის „გამომწვევად". გაზეთი ბრალს სდებს ხელისუფლების წარმომადგენლებს იმაში, რომ მათ ხელი შეუწყვეს „საბჭოთა მოსახლეობის ევაკუაციას ესტონეთისა და ლატვიიდან". სტალინი, რომლის მიზანს შეადგენს, მთლიანად მოსპოს ბალტიის ქვეყნების მოსახლეობა, ცხადია უკმაყოფილოა, რომ მცირე ჯგუფმა შესძლო თავი დაეღწია შინსახკომის კლანჭებისაგან და გადაერჩინა თავისი სიცოცხლე.

რუსი ემიგრანტების ბედი

ბელგიიდან ლტოლვილი მოქალაქენი აჩვენებენ, რომ ნაციონალურად განწყობილი რუსი ემიგრანტები ბელგიაში განიცდიან ტრაგიულ ბედს. რუსებს იმედი ჰქონდათ, რომ ინგლის-ამერიკელთა სამხედრო ხელისუფლება დაიცავდა მათ ბოლშევიკებისაგან, მაგრამ საშინლად მოსტყუვდნენ. საბჭოთა წარმომადგენლებმა, რომელნიც უკან მისდევენ ინგლის-ამერიკელთა ჯარებს, მოითხოვეს ყველა რუსის გადაცემა, რაზედაც მიიღეს უყოყმანო დასტური.

ამის შედეგად, ბელგიასა და აგრეთვე ჩრდილო საფრანგეთში მოეწყო ნაციონალურად განწყობილი რუსი ემიგრანტების მასობრივი დაპატიმრება.

ბრძოლები ფილიპინებზე

როგორც ტოკიოდან იუწყებიან, მანილადან მიღებული ცნობების თანახმად, 20 ოქტომბერს, ცენტრალური ფილიპინების რაიონში ამერიკელებმა გადმოსხეს თავიანთი ჯარები. იაპონელებმა დაუყოვნებლივ მიიღეს საწინააღმდეგო ზომები, რის შედეგადაც მოწინააღმდეგემ ვერ შესძლო დასახული ოპერაციის განხორციელება. კუნძულ ლეიტაზე, იაპონიის ჯარებმა დიდი ზარალი მიაყენეს ამერიკის დესანტებს. მოსპობილია მტრის ორი საბაზო გემი, ორი ავიამზიდი და ორი ახალი ტიპის სამხედრო გემი. იაპონიის საჰაერო შენაერთებმა, კუნძულთან მოახლოვებისას ჩასძირეს აგრეთვე მტრის ჯარებით დატვირთული ტრანსპორტი და ჩამოაგდეს 37 თვითმფრინავი.

საჰაერო ყაჩაღები მოსტყუვდნენ

ინგლისელმა ტყვეებმა დაკითხვის დროს აჩვენეს, რომ იტალიაში, ბოლონიის სამხრეთით, ინგლისის ბომბდამშენებმა შეცდომით ყუმბარები დააყარეს თავის საკუთარ სამხედრო ნაწილებს და მიაყენეს მათ უდიდესი ზარალი.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ინგლის-ამერიკელები ყუმბარებს აყრიან თავის ჯარისკაცებს.

უწესრიგობანი ათინაში

ათინიდან გერმანული ჯარების გასვლისთანავე, საბერძნეთის დედაქალაქში დაიწყო საშინელი უწესრიგობანი. ქალაქში მოქმედებენ ბნელი ძალები. ბელგიის საელჩო ათინაში სრულიად გაძარცვეს.

გერმანელი მეზღვაურები ზრჟანიზის ბრძოლითი ნიშნებით გადაცემის დროს.

მოლოტოვის ოთხი შეკითხვა

მოხ. თ. გაგილი

ქართველ მოხალისეებისათვის კარგად ცნობილია ის ფაქტი, რომ ბოლშევიკების საბოლოო მიზანს მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია წარმოადგენს. ეს იყო მათ ბოლშევიზმის მამამთავარის ლენინის უანდერძი, ხოლო სტალინმა მისი განხორციელება მოისურვა. სტალინმა და მის თანამოაზრეებმა კარგად უწყოდნენ ის გარემოება, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება და შენარჩუნება მეტად რთულ პრობლემას წარმოადგენს. ბოლშევიკებისათვის ცხადი იყო აგრეთვე, რომ გზა მსოფლიო რევოლუციისაკენ მხოლოდ მსოფლიო ომის საშინელი ცეცხლით შეიძლებოდა გაკვლეულიყო. ამიტომ იყო, რომ ასე გატაცებით ემზადებოდნენ ისინი ამ უდიდესი სისხლისღვრისათვის. [illegible], რაც კი ამ 25 წლის განმავლობაში გაკეთდა საბჭოთა კავშირში, მხოლოდ [illegible] ამ მიზანს ემსახურებოდა. [illegible] პროპაგანდა, კომინტერნის უზარმაზარი ორგანიზაცია, რომელსაც, როგორც იცით, ისე მჭიდროდ გაბმული ჰქონდა მსოფლიოს ყველა ქვეყნებში და კრემლის ბოლშევიკური დიპლომატია დღედაღამ ამზადებდა „ყველა ქვეყნის პროლეტარებს" ახალი მსოფლიო ომისათვის.

ჩვენი მოხალისენი კარგად იცნობენ აგრეთვე იმ ფაქტს, თუ როგორი მზაკვრული და გაიძვერული დიპლომატიით დაიპყრო საბჭოთა კავშირმა დასავლეთი ბელორუსია, დასავლეთი უკრაინა, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი.

გერმანია-საბჭოთა კავშირის 1939 წლის შეთანხმების საფუძველზე, როგორც გერმანიას, ისე საბჭოთა კავშირს, დასავლეთის საზღვარზე ჯარის მინიმალური რაოდენობა უნდა ჰყოლოდა. მაგრამ, განა ოდესმე შეუსრულებიათ ბოლშევიკებს დაპირება? ნიუხედავად ამისა, რომ გერმანიამ დაუყოვნებლივ შეასრულა შეთანხმების ეს მუხლი, საბჭოთა კავშირმა, თანახმად თავისი საგარეო საქმეთა კომისრის მოლოტოვის განცხადებისა, 1940 წლის შემოდგომისათვის გერმანიის საზღვარზე 22 საბჭოთა დივიზიის მოყვანა თავი. ეს ფაქტი ნათელყოფს ბოლშევიკების მისაზღვრე ქვეყნების, სპეციალურად დასავლეთისკენ იმის, თუ რა განზრახვა ამოძრავებდათ ამ [illegible] და [illegible] „პოლიტიკურ მოღვაწეებს". სტალინური დიპლომატები ბოლშევიკურ ენაზე ლაპარაკობდნენ, ხოლო სინამდვილეში [illegible] მის საწინააღმდეგოს აკეთებდნენ. ამ ფაქტის ახალი, განმარტებული მიზეზი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირმა, დაიკავა რა ხარცხველის [illegible], ბესარაბიაზე, არამედ ჩრდილო ბუკოვინაზეც კი.

საწყენიაროდ ჯერკიდევ ბევრს ჰგონია, რომ გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირი და [illegible]. მაგრამ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. სტალინი დიდიხანია დარწმუნდა, რომ მსოფლიო რევოლუციის მიღწევა, რომელიც იყო და არის ბოლშევიზმის საბოლოო მიზანი, მხოლოდ გერმანიასთან ბრძოლის გზით შეიძლებოდა. მან კარგად იცოდა, რომ მის იმპერიალისტურ ზრახვებს, ევროპაში მხოლოდ გერმანია თუ აღუდგებოდა წინ. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1940 წლის ნოემბერში, გერმანია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე არა 22, არამედ უკვე 150 დივიზია იყო დაბანაკებული.

ომის დაწყების მუქარა აშკარა გახდა.

მოხალისეებისა სინამდვილის თავიდან ასაცილებლად, გერმანიის ხელისუფლებამ სთხოვა საბჭოთა კავშირის მთავრობას გამოეგზავნა ბერლინში მოსალაპარაკებლად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.

1940 წლის 12 ნოემბერს, სტალინის დარიგებით აღჭურვილი მოლოტოვი ჩამოვიდა ბერლინში, კეისრობის ოფიციალურ [illegible], ყველა ქვეყნის და ერების დიპლომატებისათვის და დიპლომატებისათვის საკვირველი. წინასწარი იმპერიალისტური ზრახვებით გაჟღენთილი შეკითხვებით მიმართა მაშინ მოლოტოვმა მოლაპარაკე. მთელი ქვეყნის დასანახად, მან სრულიად გაიშიშვლა ბოლშევიკების დამპყრობელი მიზნები, ამ შეკითხვების მიხედვით:

მოლოტოვის პირველი შეკითხვა: გერმანიის მიერ რუმინეთისათვის მიცემული გარანტია იქნება თუ არა განმტკიცებული, იმ შემთხვევაში, თუ რუმინეთს თავს დაესხმის საბჭოთა კავშირი?

რიბენტროპის პასუხი: გერმანიის მიერ რუმინეთისათვის საერთო ფორმებში მიცემული გარანტია, რა თქმა უნდა, ჩვენ გვაკავშირებს მასთან. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ განუცხადებია, რომ მას რუმინეთში, ბესარაბიის გარდა, კიდევ ჰქონდა რაიმე სხვა ინტერესები. მაგრამ, ამ დაპირებათა მიუხედავად, რომელიც ამ საკითხზე იყო მიცემული, საბჭოთა კავშირმა ჩრდილოეთ ბუკოვინაც დაიკავა. ამიტომ, მე არ მგონია, რომ საბჭოთა კავშირს კიდევ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზიები რუმინეთის მიმართ.

მეორე შეკითხვა: საბჭოთა კავშირი სთვლის, რომ ფინეთის პრობლემა მის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მზად არის თუ არა გერმანია, უარი სთქვას ფინეთისათვის ყოველგვარ დახმარებაზე?

რიბენტროპის პასუხი: გერმანიას, როგორც ყოველთვის, ეხლაც არა აქვს არავითარი ინტერესები ფინეთში. მიუხედავად ამისა, ამჟამად საბჭოთა კავშირისა და ფინეთს შორის გერმანიის მთავრობას მიაჩნია დაუშვებლად ახალ ომს. რომ გერმანიას არ შეუძლია დაუშვას, რომ ბალტიის ზღვაში უკვე კიდევ საზღვაო სახ საბჭოთა კავშირის, საერთოდ კი, გერმანიას არ სურს, რომ ბალტიის ზღვის სანაპიროებზე კვლავ დაიწყოს ომი.

მესამე შეკითხვა: მზად არის თუ არა გერმანია დაეთანხმოს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი ბულგარეთის ხელშეკრულება და ამ მიზნით გაგზავნოს იქ თავისი ჯარები? საბჭოთა კავშირს არა აქვს განზრახვა გამოიყენოს ეს შეკავშირება ბულგარეთის სახელმწიფოს წყობილების შესაცვლელად.

რიბენტროპის პასუხი: ბულგარეთი წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მე არამაქვს ცნობები, იმის შესახებ, რომ მან სთხოვა საბჭოთა კავშირს გარანტიები, ისე, როგორც ეს გააკეთა რუმინეთმა გერმანიის მიმართ. გარდა ამისა, ამ საკითხზე მე უნდა მოველაპარაკო ჩემს მოკავშირე იტალიას.

მეოთხე შეკითხვა: საბჭოთა კავშირს ყოველ შემთხვევაში ესაჭიროება თავისუფალი გასასვლელი დარდანელებზე, ამიტომ გარანტიის სახით ის მოითხოვს მნიშვნელოვანი დასაყრდენი ბაზების დაკავებას დარდანელებისა და ბოსფორის რაიონში. თანახმაა თუ არა ამაზე გერმანია?

რიბენტროპის პასუხი: გერმანია ყოველთვის თანახმაა გაუქმდეს მონტრეს, დარდანელის შეთანხმება, იმ სახელმწიფოთა სასარგებლოდ, რომლებიც მდებარეობენ შავი ზღვის სანაპიროებზე. მაგრამ გერმანიას არ შეუძლია დასთანხმდეს საბჭოთა კავშირის მიერ ბაზების დაკავებაზე.

მიუხედავად მრავალი სამშვიდობო განცხადებისა და ხელშეკრულებისა, ზემოთმოყვანილი კითხვები აშკარად ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკაზე, ევროპაში იმპერიალისტური ექსპანსიის მისაღწევად.

ამ საუბრის შემდეგ, 1941 წლის 1 მაისისათვის, გერმანიამ უკვე იცოდა, რომ საბჭოთა კავშირმა საზღვარზე თავი მოუყარა დაახლოებით 150 დივიზიას (118 მსროლელი, 20 ცხენოსანი და 40 მოტორიზებული დივიზია და სატანკო ბრიგადები). ეჭვი არ იყო, რომ საბჭოთა კავშირი გერმანიაზე თავდასხმისათვის ემზადებოდა. საჭირო იყო სახელმწიფოს დაცვა და წითელი საფრთხის ერთხელ და სამუდამოდ მოსპობა.

გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ და პირველ რიგში, გერმანელი ხალხის ფიურერმა ადოლფ ჰიტლერმა კარგად იცოდა, რომ თავდაცვისა და მტრის განადგურების ერთადერთი საუკეთესო საშუალება არის შეტევა.

ამიტომ იყო, რომ 1941 წლის 21 ივნისს გერმანიამ, პირველმა აუმხედრა მახვილი ბოლშევიკების წინააღმდეგ. გერმანიის ამ პრევენტიულ ნაბიჯს კულტურული კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ინდოეთის მთავრობის წლისთავი

ერთი წლის წინათ, შონანში, სუბჰას ჩანდრა ბოსეს ხელმძღვანელობით შეიქმნა თავისუფალი ინდოეთის მთავრობა. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინდოეთის ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში. ბოსეს მთავრობამ თავის დეკლარაციაში განაცხადა, რომ მის საბოლოო მიზანს ინდოეთის განთავისუფლება შეადგენს.

ინდოეთის დროებითი მთავრობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს, ვინაიდან არსებული მდგომარეობის გამო, მისი არჩევა არ შეეძლო ინდოელ ხალხს. მთავრობის მიზანია ინდოეთის სახელმწიფოს აღდგენა. ჩანდრა ბოსეს არაერთხელ განუცხადებია, რომ მას სრულებითაც არა აქვს განზრახვა, შეინარჩუნოს ხელისუფლება ინდოეთის განთავისუფლების შემდეგ. დროებითი მთავრობა ასრულებს თავის მოვალეობას, მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ინგლისელი უზურპატორები არ იქნებიან საბოლოოდ განდევნილი ქვეყნიდან, რის შემდეგაც შეიქმნება ინდოეთის მუდმივი ნაციონალური მთავრობა.

ბოსეს კაბინეტის პირველივე გადაწყვეტილება იყო ომის გამოცხადება ინგლისისა და ამერიკისათვის. იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ბოსეს ეს ნაბიჯი იყო რეალური და დიდი მნიშვნელობის მქონე, — წარმოადგენს ნაციონალური შეიარაღებული ძალების გამოსვლა ინდოეთის ტერიტორიაზე. მართალია, უნდა ითქვას, რომ მთლიანად არ გამართლდა ამ წამოწყების პოლიტიკური და სტრატეგიული მოლოდინი... მაგრამ ამ გარემოებას სრულებითაც არ შეუსუსტებია ბოსეს მთავრობისა და ინდოეთის ნაციონალური არმიის რკინისებური ნებისყოფა და მტკიცე გადაწყვეტილება — განაგრძონ დაწყებული საქმე საბოლოო გამარჯვებამდე.

ამ ხნის განმავლობაში ნაციონალურმა ჯარებმა შეიძინეს ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს მათ მომავალ ბრძოლებში. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ბოსეს არმიის გამოჩენამ ინდოეთის ტერიტორიაზე, უეჭველად გამოიწვია ქვეყნის შიგნით ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. ინგლისური ცენზურა ყოველნაირად სცდილობს მიჩქმალოს ინდოელების წარმატება, მაგრამ სიმართლის ხმა მაინც თავის გზას პოულობს. ინგლისელთა ბატონობის მოსპობა ინდოეთში წარმოადგენს ისტორიულ აუცილებლობას, რომლის განხორციელების გარეშეც ინდოელ ხალხს არ შეიძლება ჰქონდეს, არც პოლიტიკური და არც კულტურული და ეკონომიური მომავალი.

ინდოელ ხალხს მოელის მძიმე ბრძოლები, რომელიც მოითხოვს მისგან დიდ მსხვერპლს. მაგრამ, არც მთავრობა და არც ნაციონალისტები არ შეჩერდებიან ამ სიძნელეთა წინაშე. ინდოეთის ნაციონალური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა შრიდჰარანიმ, ერთერთ დემონსტრაციაზე ფილადელფიაში, განაცხადა, რომ ბრიტანეთის იმპერიის მსგავსი პოლიტიკური სისტემების მთლიანი მოსპობა წარმოადგენს აზიელ ხალხთა მინიმალურ მოთხოვნილებას.

ინდოელები მოითხოვენ, რომ მათ ქვეყანაში საბოლოოდ მოისპოს გაჭირვება, შიმშილი, ავადმყოფობა და სიბნელე. ყველაფერი ეს, შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ თავისუფალი ინდოეთის მთავრობის მიერ თვით ინდოელი ხალხის დახმარებით.

ქართველი ტანკისტები. ფოტო მოხ. ვ. სალარელისა.

ქართული მუშათა ასეულის მებრძოლები მუშაობის დროს. ფოტო მოხ. ვ. სალარელისა.

მათი გადაწყვეტილება

ჩვენი საგანგებო კორესპონდენტისაგან

ისინი უკვე დიდი ხანია ერთად არიან... შეეჩვიენ ერთმანეთს, როგორც მუშაობაში, ისე ბრძოლაში...

ისინი ერთგულად ასრულებდნენ ყოველგვარ საბრძოლო დავალებებს. ქართველი მოხალისეების თავდაჭერა, პატიოსანი და თავდადებული მუშაობა, პირველი დღიდანვე სანიმუშო იყო მთელ სატანკო არმიაში... არ ზოგავდნენ ისინი ენერგიას საერთო საქმისათვის. ხშირად, ერთი დღის განმავლობაში დაუტვირთავთ და მიუწოდებიათ მათ ფრონტისათვის 2000 ტონა ტყვიაწამალი და ამავე რაოდენობის ძვირფასი სამხედრო მასალა გამოუტანიათ ზურგში, გეგმით გათვალისწინებული უკანდახევის დროს. იყო დღეები, როდესაც მათ 3-4 საათის მეტი არ სძინებიათ დღეღამის განმავლობაში, ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ მეორე დღეს უფრო მეტი ემუშავათ.

ისინი ყველა ერთი გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი... თავს ამაყად და მუდამ კარგად გრძნობდნენ... მათი განწყობილება ყოველთვის საუკეთესო იყო... მიცემული დავალება მუდამ ზუსტად და დროულად სრულდებოდა.

თავდადებული და ერთგული მუშაობისათვის, მათ პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს სატანკო არმიაში. აი, რას სწერს არმიის სარდალი თავის ბრძანებაში:

„აღმოსავლეთის ფრონტის შუა უბანზე მომქმედ ქართულ მუშათა ასეულს ვუცხადებ გულითად მადლობას, თავისი დაუღალავი და ენერგიული მუშაობისათვის.

ქართულმა ასეულმა, ბრძოლის უძნელეს პირობებში, დაუფასებელი სამსახური გაუწია ჩვენ სატანკო არმიას. ისინი ემხარებოდნენ ფრონტის წინა ხაზზე მყოფ მებრძოლ ნაწილებს. მოხალისეებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს აგრეთვე, აღმოსავლეთის ფრონტის შუა უბანზე, ბოლშევიკების წინააღმდეგ აღმართული № სიმაგრის გმირულ დაცვაში.

ვუსურვებ ასეულს შემდგომ წარმატებებს. ობერსტ-ლეიტენანტი „მ-ტი".

№ სატანკო არმიასთან ყველა საბრძოლო ამოცანის პირნათლად შესრულების შემდეგ, ეს ქართული მუშათა ასეული გადაყვანილი იქნა აღმოსავლეთის ფრონტის სხვა უბანზე, არმიის მომარაგების დარგში სამუშაოდ.

აქაც გაამართლეს მათ თავისი სახელი... აქაც ასრულებდნენ სხვადასხვა პასუხსაგებ დავალებებს: აშენებდნენ სათადარიგო პოზიციებსა და თავდაცვით ობიექტებს, იცავდნენ სამხედრო საწყობებს.

ყოველივე ამის გამო, მათ კვლავ მიიღეს დამსახურებული მადლობა გერმანული სარდლობისაგან. მუშათა ნაწილების უფროსმა, პოლკოვნიკმა ი-მ ბრძანებით აღნიშნა ქართული ასეულის თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობა.

ისინი ეხლაც განაგრძობენ თავის ნაყოფიერ და ერთგულ მუშაობას. ეხლაც, მათი მიზანი გარკვეულია, გადაწყვეტილება მტკიცე — იბრძოლონ საბოლოო გამარჯვებამდე.

მოხ. ჯ. ჯოქია

მაგიური-წყარო

გრიგოლ რობაქიძე

რაიმე ჯადოსნობით რომ შესაძლო გახდეს: რომელიმე ქალმეფეთაგანი კლეოპატრასი სტუმრად მოეყვანათ ჩვენი დროის კაცს, ერთხს მათ შორის სრულიად სხვა სუნთქვა და სურნელი ექნება. გზნების შინაგანი განცდა იქნება სხვანაირი. ხევსურის გოგონა ასეთს სტუმარს მაგონებდა. ხევსურეთში არ იციან დრო: იქ დღესაც ისე სცხოვრობენ, როგორც ათასი წლების წინათ. მზექალა იზრდებოდა ჩემს მკლავებში და ღვივდებოდა ვითარ [illegible]. მკერდი მკერდს ებჯინებოდა [illegible] ტანით, თუმცა მხურვალე ტუჩებს არ მაცილებდა. მკერივი და მაგარი იყო მისი ძუძუ, როგორც მზით გახურებული რიყის ქვა. სხეული მისი კლდე იყო თითქო, შეუცვლელი და ასევე შეუცვლელი. კლდიდან წყარო ნაკადულობდა: მისი ბაგე, რომლისაგან კოცნას ვსვამდი მათრობელს. იგიც თვრებოდა ჩემი კოცნით. ხოლო ორივე თავს ვიკავებდით ამ მწველ სიტკბოში: [illegible] ზღვარი არ გადავლახავს.

ალიონზე შეუმჩნევლად მიმატოვა უმანკო ბავშვმა.

O

ვერა გამიგია რა. ხევსურის ასული არ მრცხვია ისე, როგორც ბაბილონის ქალი „ეცხოს"; ჩემი ახსნა საიდუმლოთ ფუძე გამოდგა. ეხლა სხვა მხრით აკვლევდა გზას ჩემი ფიქრი. არ უარვყოფდი, რომ წინა ღამით განცდილი დანაშთია [illegible] რიტუალისა: უცხო სტუმარს ღამით ქალწულს რომ მიაწვენდნენ ხოლმე. ხოლო ეს დანაშთი აქ, ხევსურეთში, გადასხვაფერებულად მეჩვენა ეხლა. ვინ იცის შესაძლოა ხევსურებმა ერთს დროს რაიმე წესი განვლეს სიყვარულისა, სადაც უკანასკნელი „ტრფიალი" იყო მხოლოდ და არა „სიძვა", რომლის გაყოლებით ძველი, ზარცხელი „შუგვდრა" ქალისა და ვაჟის [illegible] აქცია ესპაზრობდა ასე. ამას ერთი იგივე ამაგრებდა თითქო. გაუგებარი: შეიძლება მზექალას ცდა უნდოდა ჩემი, შევეძლებდი თუ არა მე როგორც [illegible] რაინდულად დამეცვა ზღვარდებული. ახლოა იყო

ეხლა ჩემი მიპატიჟა: ხოლო ერთი სიტყვა მხარე მაინც [illegible]: თუ ეს ისე იყო, მაშინ [illegible] ასეთი [illegible]? საიდუმლო დარჩა მოუხსნელი. გადაწყვეტა — [illegible], მაგრამ მას ამისთვის ალაგი [illegible] ერთი მისი მეგობარი მოხუცის სახიჩქაროდ დაეჩრა.

O

სამუშაოში ხშირად უნდა დამეკლა ხოლმე ქოთმი. [illegible] ვიჭერდი ურთავს და ცერით მოუწყვეტდი თავს: ისე რომ ყველა სწორედ მხოლოდ მარჯვენით დანა მეჭირა. ერთი გადახერხა და ქოთმი დაკლული იყო. ვგრძნობდი რაღაც უხიამოვნოს, მაგრამ ხელი მაინც მარჯვედ მოქმედებდა. თავგადაჭრილი ტანი ქათმისა [illegible] კიდევ რამდენიმე წამს განზე დაგდებული, მე კი დანას ვწმენდი სისხლისაგან. ერთხელ კი სოლციარი რამ განვიცადე. იმ წუთს, როცა თავმოჭრილი ტანი კიდევ ებრძოდა სიკვდილს და ხრმალ დარიხნილობდა, უცერად მოკვეთილი თავი დავინახე: ნისკარტი მოძრაობდა სუნთქვამიღეულ, ქუთუთოები ხამხამებდნენ სიბრაზეს ზარიზულად. უცნობმა შიშმა დამიარა ტანში. საშინელება ის იყო — ეს შემდეგში გახდა ნათელი — რომ სიცოცხლე, სრულში განუყოფელი, სიკვდილს აქ განწვეტებით ებრძოდა: ერთი მხრით თავში, მეორე მხრით ტანში. საშინელი სხვაც რამ იყო კიდევ. თავმოჭრილი ტანი ალარ ხლტოდა, თავს სუნთქვა დალეოდა, სიცოცხლის ძალა გამქრალიყო — ხოლო უკანასკნელი უბიძგებდა თითქო იქვე სუნთქვად. აქ იყო რაღაც ამგვარი, რასაც ძველად „წმინდა შიშად" უწოდებდნენ მისნები. მახსოვს: დანა გავაგდე მაშინ განზე და გავვარდი შორს გიჟივით. ხელებში ცახცახი ამივარდა. იმ დროიდან მიჭირავს შიში დაკლულ ქათამთ წინ, შიში ბნელი, არაადამიანური. სისხლში ვხედავ თვითონ სიცოცხლეს: მის არსს, მის საიდუმლოს.

ეს ამბავი მოვყავს მხოლოდ ამისათვის, რომ დაახლოვებით მაინც ნათელვყო, თუ რა არის სისხლი ხევსურისათვის. როცა ხევსური უკბენს, ნაჭდევებით სახეზე და ტანზე, მუდამ აარიდებს ახსნილ და მზადმყოფი შეტევისათვის, ვგონია, სისხლი სწყურიათ მათ მხოლოდ. მაგრამ ეს ისე არ არის. არავის ეშინია სისხლის დაღვრისა ისე როგორც ხევსურს: არც ერთს ხალხს, არც ერთს ტომს. მკვლელს ხევსურეთში „ლაჩარის" სახელით სდევნიან. გმირი მათთვის ის მორკინალი კი არაა, ვინც სასიდუმლოდ დასჭრის მოპირდაპირეს. ჭრილობა კანის გაკაწვრა უნდა იყოს მხოლოდ. თვით გააფთრებულ შებმაშიაც კი — აი უტყუარი ნიშანი ხევსურისათვის ნამდვილი ვაჟკაცობა.

O

სოფელს ხმა მოედო: გიგა ქისტაურმა სასიკვდილოდ დასჭრა გოგოთურ გიგაური. უნდა ვენახათ ხევსურები: თითქო თვითონ სიკვდილს გადაექროდა მათ სახეებზე, ისე იყო არეულგაზზარებული მათი გამოხედვა. განსაკუთრებით მზექალა იყო აშლილი, რადგან გოგოთურ მის საყვარელ მეგობრად ითვლებოდა. ვეღარ იცნობდი ამ ნაღლისაგანა და მაგარ ხევსურს. თითქო თავისივე დაჭრილი, დარბოდა იგი აქეთ-იქეთ, ვერსად ვერ ენახა ადგილი. ის გარემოება, რომ ამ სამწუხარო ამბავში სიმართლე თავში მაინც გოგოთურის მხარეზე არ იყო, კიდევ უფრო ამძაფრებდა მის აშლილობას. ლაშქრისა და მარჯვე გოგოთურის გაჭრელებინა თურმე სიტყვა და მოუქნია გიგას. სოლციარი სიმარჯვით გამოეტაცა მას გიგასათვის ხანჯალი, გაეკაწრა იგი მსუბუქად და გადაეცა მისთვის დაცინვით მისივე ხანჯალი. ცხადია, ეს სასირცხვილოდ დარჩებოდა გიგას. იგი ისე გაბრაზებულიყო, რომ მოულოდნელად გოგოთურისათვის ხანჯალი მუცელში ჩაეცა.

„გიგა ლაჩარ არს", ბურდღუნებდა მზექალა, „მაგრამ გოგოთურიც ცუდ და უდინ მოიქცეოდა".

ხევსური ყოველთვის მის მხარეს იქნება, ვინ მხარეზეც სიმართლეა. არავითარ კავშირს, არც ნათესაურს, არც მეგობრულს, არც ტომიურს, არ ძალუძს გამოიწვიოს მასში პირადი მიკერძოებით გადახრა ვინმესკენ.

მზექალამ წამიყვანა გოგოთურის სახლში. დაჭრილი იწვა ლოგინზე ავად მოღუშული. მკურნალი ლიკოკელი პრილიასს უწევდა. გოგოთურს აწუხებდა ტკივილი. მაგრამ სცდილობდა, არ ეჩვენებინა იგი. ხევსურისათვის უბრალო კვნესაც კი, ტკივილით აღძრული, სირცხვილია.

O

ლიკოკელი იყო 97 წლის მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანით და ღონით სავსე. ჭრილობას შეხვევისას იგი მუშაობდა როგორც კარგად ნაწვრთნი ხელოვანი. გაკვირვებული ვუცქერდი მას. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ მისთვის ნაცნობი იყო ყოველი ნაკეცი ტვინისა.

სადგან? ქვეყანას მოწყვეტილ კუთხეში, სადაც არც გაზეთია, არც რადიო, არც ტრამვაი, ვხედავდი მოხუცს, რომელსაც ჰქონდა ცოდნა ყოველგვარი ჭრილობისა და რომელიც იყო დახელოვნებული მკურნალობაში. სადგან? ვეკითხებოდი ჩემ თავს. ჩემი რწმენა, რომ ხევსურები დანაშთია რომელიღაც ძველი კულტურიანი ხალხისა, აქ ნათლივ მტკიცდებოდა. სხვა ახსნა შეუძლებელი იყო.

გავესაუბრე მოხუცს. ბევრი რამ მამცნო მან. ჭრილობას მოსარჩენად ხმარობდა იგი ერთს მალამოს, კვერცხის ცილისა და თაფლისაგან შეზავებულს. თუ ჭრილობას გზდებს გამშრალი სისხლი დაეწებებოდა, ამბობდა იგი, მაშინ მათ მარილით მოკლული ნაკელის ქაფი უნდა დაავაროთ. ჭრილობა ამ შემთხვევაში ისე იწმინდება თურმე, რომ მკურნალის თვალს არაფერი წვრილმანი მოსარჩენისა არ გამოეპარება. განსაკუთრებით აფასებდა იგი ერთს ფესვიანს, უცხო ბალახისაგან დამზადებულს, რომლის სახელი მან არ იცოდა. მან მომითხრო ზღაპარი: ველს დაეჭირა მწყერი; ერთი ხევსური თავს წასწრებოდა ამას; ველს მწყერი უკვე დაეხრჩო, რომელიც ძლივს გაძრებოდა განზე და შემძვრალიყო ბალახში; ხევსურმა მოიჭირა თურმე თვალი: თუ როგორ მოაწყვეტა მწყერმა რაღაც ბალახს ფოთოლი და ნაკბენზე დაიდო იგი: მალეობამდე ფრთით გაეკეთებულიყო; რამდენიმე დღის შემდგომ მოფრინდა იგი ისევ ალაგს და გამოცხვებოდა: მწყერი თურმე დახელტოდა მერქოს უკვე მორჩენილი. ასე გაიგო ხევსურმა კურნების ძალა იმ უსახელო ბალახისა. ლიკოკელი ამ ბალახს ხმარობდა.

ბევრი სხვა რამეც გამიცნო მოხუცმა. მას სიტყვებში ჟღერდა მკურნების ელემენტი მთლიან სახის ილუბდა: თვითონ იგიც თითქო მოთხრობიდან იყო მოვლენილი. განსაკუთრებულ ძალას აკლდებოდა იგი მოკლულ ბუერს. წითელსა და თეთრს. განცვიფრებული ვუსმენდი მოხუცს. გავიგე კიდევ, რომ მას შეეძლო თავის ქალის დასტაჭრილობაც გაეწია ვინმეს დაუზიანებლად. ბრძოლაში აუცილებელი მოერჩინა მას: ხევსურების გარდა, ფშავებიცა და ქისტებიც. ერთი ფშავისათვის მოშუშა თავი გაეპო ხანჯლით. ლიკოკელს ძვლები უნდა განეშორებინა და ტვინი გაერეცხა. ოპერაცია, მეტად ძნელი, დასტაქრის კარგად დასრულებინა: თავგამობილი გადარჩენილიყო. თვალს ვერ ვაცილებდი ამ ჯადოსანს, რომელიც თითქო ჩემ წინ ვითარ ლანდი პრეისტორიული ხანიდან. მას ჰქონდა ცოდნა, რომელიც სიცოცხლეს ვერ წაიშლა. ლიკოკელი ერთი არ იყო ხევსურეთში. ძველთაძველი ცოდნა, რომელიც თანვე ხელოვნებაცაა, თაობიდან თაობამდე გადადის აქ.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. იხ. გაზ. „საქართველო" № 42 (119).

ქართველი მოხალისენი ფრონტზე და ზურგში

ორ ცეცხლს შუა...

აღმოსავლეთის ფრონტის ერთერთ ჰორიზონტზე მიდამოებში იმყოფებოდა მაშინ ჩვენი ასეული. ძმურ დახმარებას ვუწევდით მებრძოლ გერმანულ ნაწილებს. ტალახი და წყალი ვერ გვიშლიდა ხელს. წინ მტრის საცეცხლე პოზიციები იყო განლაგებული, ხოლო ზურგში ბანდიტების წვრილი ჯგუფები დათარეშობდნენ.

ასეული სათადარიგო პოზიციების მომზადებაზე მუშაობდა.

მოულოდნელად საშინელი სროლა ატყდა. სროლის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი იყო. დაუყოვნებლივ მივიღეთ საბრძოლო მდგომარეობა და მტრის თავდასხმას მომზადებული დავხვდით.

ერთდროულად გადმოიტანენ შეტევაზე ფრონტის წინა ხაზზე მყოფი მტრის ნაწილები და ზურგში მომქმედი ბანდიტები. ორ ცეცხლს შუა ვიყავით მოქცეული. გამოსავალი მხოლოდ ერთია: უნდა ვიბრძოლოთ და ისე გამოვიდეთ გარემოცვიდან. მართლაც ასე მოხდა. ასეულის მეთაურმა გასცა ბრძანება და ჩვენც ბრძოლით გავიკაფეთ გზა. მტერი არ გვინდობს, მაგრამ არც ჩვენ ვაყრით ხეირს. ადვილად გამოვედით მტრის რკალიდან, ხოლო ბანდიტების ხროვის მოსპობა, ჩვენს მეზობლად მყოფ გერმანელთა საბრძოლო ნაწილმა იკისრა თავისთავზე.

მტერი შედრკა. ბრძოლის გაგრძელება მისთვის უკვე აღარ იყო ხელსაყრელი და უწესრიგოდ დაიწყო უკანდახევა.

სულ რამოდენიმე წუთი და ისევ სიწყნარე ჩამოვარდა. დადუმდა არემარე, აღარ ისმის სროლის ხმა.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ასეულის მეთაურმა მოგვაწყო ქართველი მოხალისეები. მან სათითაოდ დაგვათვალიერა ყველა. მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც დარწმუნდა, რომ ჩვენ სრულებით არ ვიყავით დაზარალებული. შემოწმების შემდეგ მეთაურმა გამოგვიცხადა: ვისაც რაიმე ნივთი დაგრჩათ სამუშაო ადგილზე, წინ გამოდითო.

რამდენიმე მოხალისე, რომელთაც მართლაც აკლდათ ზოგიერთი სამუშაო იარაღი და პირადი ნივთი გაჰყვნენ ასეულის მეთაურს. ბრძოლის ადგილზე საზარელი სურათი დაგვხვდა. დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა თვით ლაპარაკობდა მომხდარი ბრძოლის სისასტიკეზე. მტერმა, ცოცხალი ძალის გარდა, დაჰკარგა აგრეთვე მრავალი იარაღი და სხვა სამხედრო საჭურველი.

ამ ბრძოლაში ჩვენმა ოცეულმა საუკეთესო შეფასება მიიღო. განსაკუთრებით აღინიშნა ქართველი მოხალისეების ვ. ჰ-ს, მ. ს-ს, გ. ჯ-ს და რ. პ-ს სიმამაცე და თავგანწირვა.

მოხ. ს. მ.

ჩვენი შრომა გამარჯვების საწინდარია

აღმოსავლეთის ფრონტის მოწინავე ხაზიდან მხოლოდ რამოდენიმე კილომეტრითაა დაშორებული მოხალისეთა ერთერთი მუშათა ათასეულის ბანაკი. ათასეულის მეორე ასეული ქართველებისაგან შესდგება. ჩვენი ბიჭები არ ზოგავენ თავიანთ ძალღონეს, რათა რითიმე დაეხმარონ ფრონტის ხაზზე მყოფ მებრძოლებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ რამოდენიმე დღის წინათ, საწვავი მასალით დატვირთული შემადგენლობა მივიღეთ. ნორმალური მუშაობით მის განტვირთვას ოთხი დღის მუშაობა მაინც დასჭირდებოდა. მაგრამ უმცროსი მეთაური მ-ს ხელმძღვანელობით ეს საქმე ორ დღეში შევასრულეთ და ფრონტს დაუყოვნებლივ მივაწოდეთ საწვავი მასალის დიდი რაოდენობა.

როდესაც ასეულის მეთაური, ობერლეიტენანტი კ. მოვიდა, სამუშაო უკვე შესრულებული იყო. ასეულის შემადგენლობას მან მადლობა გამოუცხადა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მოხალისენო! ღრმად გწამდეთ, რომ თქვენი თავდადებული მუშაობით, თქვენ პირველყოვლისა ემსახურებით ჩვენი საერთო მტრის დამარცხების საქმეს. ბოლშევიზმის დამარცხება კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ გამარჯვებული დაბრუნდებით სამშობლოში, თქვენს ოჯახებში. თქვენი შრომა გამარჯვების საწინდარია".

— დიდება საქართველოს! — შესძახა მან ბოლოს, რასაც ჩვენ მტკიცე ხმით ვუპასუხეთ:

— დიდება!

მოხ. ჰერეთელი.

მოგზაურობა გერმანიაში

მოხ. ბ. რიონელი

დაიწყო ჩვენი მოგზაურობის მეორე ეტაპი. ჩქარი მატარებლით გავემგზავრეთ საქსონიისაკენ. პროგრამის მიხედვით უნდა დაგვეთვალიერებინა გერმანიის ერთ-ერთი საინტერესო რაიონი. ამ მიზნით ხელმძღვანელებმა შეაჩერეს საქსონიის საინტერესო ნაწილი შეარჩიეს. საქსონიის დედაქალაქი დრეზდენი და მისი მიდამოები, მართლაც რომ საუკეთესო ობიექტად უნდა ჩაითვალოს ამისთვის.

საქსონია გერმანიის უძველესი საინტერესო რაიონია. იგი ცნობილია, როგორც თავისი მშვენიერი ბუნებით, ისე მრავალი ისტორიული და ხელოვნების ძეგლებით. აქ მუზეუმები მდიდარნი არიან ცენტრალური ხაზის და მოძრაობის. მეტად განვითარებულია აგრეთვე ხელოვნება. მრეწველობასთან ერთად საქსონია ხალხის მეურნეობის მხარეც ითვლება. მისი ნაწილი ნაწილი წარმოადგენს მაღალ ქარხნულ რაიონს გერმანიაში. მარცვლეული კულტურებიც საკმაოდ მოყვანილი არის წარმოდგენილი. მეხილეობაში მთავარი ადგილი უჭირავს მევენახეობას.

6.

დრეზდენი საქსონიის პროვინციის სატახტო და ადმინისტრაციული ცენტრის წარმოადგენს. მას რეპრეზენტაციული ისტორია აქვს და თავისი ხელოვნებით და ძეგლებით გამორჩეული გერმანიის საუკეთესო ქალაქების რიცხვში ხვდება.

მოხალისეები, ქალაქის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის დ.-მ მიგვიღო. მანვე ეკისრა ხელმძღვანელობა ქალაქის დათვალიერების დროს. სადგურიდან მშვენიერი ხიდებით დავიარეთ ქალაქის ძველ ნაწილში, რომელიც კულტურული მოწყობილობით და გაფორმებით ყველა გაგვაოცა.

ტროფეული ავტობუსის ძველი სახელობის ხიდიდან მივემართეთ. ჩვენ თვალწინ გადაიშალა ქალაქის თვალწარმტაცი ხედი. ელბა ორ ნაწილად ჰყოფს მას. მდინარის ნაპირები დეკორატიულად დაფარული მწვანით შემოსილი. მისამან დრეზდენის ისტორიული ძეგლები: საქსონიის მეფეთა ძველი კოშკი, სამხატვრო აკადემია, ბრიულის სახელობის ტერასა, ფონმანის სასახლე და სხვა. მათში დ. გვიყვება თითოეული ნაგებობის ისტორიულ მნიშვნელობას. აი, მან მიგვიყვანა სასახლე „ცვინგერში". აქ ბაროკოს სტილში აშენებული მრავალი დრეზდენის ხელოვნების, აქ ინახება იგი, თავის ხელოვნებით. ერთად გერმანიის მუზეუმის კოლექციის. ცნობილი დრეზდენის სათამაშო თეატრი. ეკლესიის წინ ლომების საუცხოო ქანდაკება აშენებულია. თავისი ლამაზი არქიტექტურით გამორჩეული, დრეზდენის სათამაშო თეატრი გამოჩენილია მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ხელოვნების სახლი ე. წ. ცვინგერი, რომელიც თავის სურათთა გალერეით მართლაც რომ აჯადოებს ადამიანს. სხვათა შორის, აქ ინახება რაფაელის ცნობილი სურათი „სიქსტის მადონა".

განვაგრძოთ მოგზაურობა. ავტობუსი ხიდიდან ქალაქის შუაგულისაკენ გავემართეთ. დავათვალიერეთ ქალაქის თვითმმართველობის შენობა („რატჰაუზი"), სასამართლო, სავაჭრო განყოფილება და სხვა. მეზობლობაში ჩამწრივ სავაჭრო განყოფილების ერთერთ კედელზე მოთავსებული დიდი ისტორიული ხასიათის სურათი. იგი ძველთაგანვე ამშვენებს ამ შენობას და გამოხატავს კაცს, რომელიც გადმოსახლებული ქალაქის ამ ადგილებიდან.

7.

ხელმძღვანელებმა გადმოგვცეს, რომ ჩვენ მთავარ მიზანს დრეზდენში შეადგენს მუშათა ყოფაცხოვრების გაცნობა. პირველ რიგში საჭიროა თვით წარმოების ნახვა, სადაც უშუალოდ მათ მუშაობა. სამხედრო ავტობუსმა დრეზდენის ერთერთ წარმოებაში მიგვიყვანა. იგი პირველყოვლისა ქარხანა აღმოჩნდა. მზადდება უმთავრესად პირის საფარებელი სახე „ოდეკოლონი". ჩვენ სასიხარულო საზღვარი აღარ აქვს. მოგვეცა საშუალება საკუთარი თვალით ვნახოთ მუშათა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობები აქ, გერმანიაში და შევადაროთ იგი საბჭოთა „სამოთხეში" არსებულ მდგომარეობას. ქარხანა კერძო მწარმოებელს ეკუთვნის. ქარხნის მთავარმა ქიმიკოსმა სიხარულით მიგვიღო. იგი გვიძღვა წინ და დიდი გულმოდგინებით გვაცნობდა მთელ საწარმოო პროცესს. ყველაფერი უცხოა ჩვენთვის. სუფთა და სინათლიანი ოთახები, მუშაობის სწორი ორგანიზაცია, უსაფრთხოების მაქსიმალური პირობები. მუშას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ ნაყოფიერად იმუშაოს და დაისვენოს. 600 კილოგრამი შემდგარი კოლექტივი შემადგენლობით მუშაობს ერთ საკვოთებელში, უკველესი „სოციალისტური" და „ჯიუჯის“ გარეშე. მუშას მტკიცედ აქვს შეგნებული თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე. იგი

დასასრული. იხ. „საქართველო" № 39 (116).

მუშაობს პატიოსნად და სამაგიეროდ იგებს იღებს ადმინისტრაციისაგან.

შემდეგ დავათვალიერეთ სასადილო, აბაზანები, დასასვენებელი ოთახები, სავარჯიშო მოედანი და სხვა. მართლაც, რა დიდი განსხვავებაა! ყველაფერი ეს სრულიად ახალი სამყაროს ჰგონებოდა. თითოეულ ჩვენგანს თვალწინ უდგას ის საშინელი პირობები, რომლებიც შექმნილია მშრომელთათვის საბჭოთა კავშირში. ჩამორჩენილი ტექნიკა, უსუფთაობა და სიღარიბე. მეტისმეტად დაძაბული სამუშაო დღე. აი, რა აქვთ მუშებს „სოციალისტურ" ფაბრიკა-ქარხნებში. უსაზღვროდ განვითარებული ტექნიკა, სისუფთავე და შემოქმედებითი შრომის უკეთესი პირობები, აი, რა ვნახეთ ჩვენ ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში.

— რა ზომებს ღებულობს ქარხნის ადმინისტრაცია იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა იგვიანებს სამუშაოზე ან სრულებით არ ცხადდება? — ვკითხე მოათხანა ერთერთმა ჩვენგანმა და შევკითხა ქარხნის ქიმიკოსს.

— პირველი და მეორე შემთხვევისას, არავითარი ზომები არ მიიღება. მაგრამ თუ დაგვიანებას ან გაცდენას სისტემატური ხასიათი აქვს, მუშას ეკითხება გაცდენილი საათების ხელფასი.

ჩვენ ვუამბეთ მას, რომ საბჭოთა კავშირში დაგვიანება-გაცდენა ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. მუშა, რომელიც რამე მიზეზით არ გამოცხადდა სამუშაოზე, იჭერენ დაპატიმრებით. გერმანელი გაოცებულია.

— როგორ, ნუთუ შესაძლებელია, რომ ადამიანი დაისაჯოს მხოლოდ ამ მიზეზით? ჩვენთან, გერმანიაში თითოეული მუშა ძვირფასია, არამარტო ქარხნისათვის, სადაც ის მუშაობს, არამედ მთელი სახელმწიფოსათვის. მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა ჩვენს საერთო საქმეს წარმოადგენს.

8.

ქარხნიდან ქალაქის გარე უბანში გავემგზავრეთ. მეღორეც, — ასე უწოდებენ მუშათა საცხოვრებელ რაიონს. ჩვენი მიზანია ვნახოთ, თუ როგორ ცხოვრობს მუშა. მათთან დ.-მ ოთხ ჯგუფად გაგვყო და მოგვმართა: — თქვენ თვითონ აირჩიეთ ბინა, რომელიც გსურდეთ და დაათვალიერეთ!

ჩვენ ჯგუფს თვითონ მაოთრი დ. ახლდა. პირველივე სახლს მივუახლოვდით და დავრეკეთ. დიასახლისი მეტად გაოცდა, როცა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ამდენი შავი ხალხი დაინახა. მაგრამ მან სიამოვნებით გაიგო, რომ ნება დაერთო ჩვენთვის, ბინა დაგვეთვალიერებინა. ქალმა რამოდენიმე წუთით მოითმინა (ალბათ თავისი ტუალეტის წესრიგში მოსაყვანად!) და შემდეგ ღიმილით შეგვიძღვა სახლში.

პატარა შვეიცა, — ამოვიკითხეთ კარებზე გაკრულ ფირფიტაზე ბინის პატრონის სახელი. ორსართულიანი სახლი. თავდაპირველად ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებულმა სისუფთავემ. ყველაფერი კრიალებდა როგორც სარკე. პირველ სართულზე სამი დიდი ოთახი, სამზარეულო, საკუჭნაო და აბანო. ზედით დასასვენებელი ოთახები. რა გინდათ, რომ არა აქვს სახლში პატარა შვეიცს: რადიო, ტელეფონი, როიალი, ელექტრო-გამათბობელი, კედლის იშვიათი სურათები და სხვა მრავალი ძვირფასი საოჯახო ნივთი. ნაკელზე საწოლებს ამშვენებს თეთრი ლოგინები. კარადებში და მაგიდებში ხომ ჭურჭელი არა აქვს. მათი დაკვირვებით ვგიცნობთ. მას სურს გაიგოს — რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ბინამ. რა ვგეთქვა. თითოეული ჩვენგანი აღტაცებული იყო ნანახით. მეორე მხრით, ჩვენს გულში რაღაც ტკივილი იგრძნობა. ჩვენთან, ასე მხოლოდ განატრებული პარტიული ხელმძღვანელები და ენკავედისტები ცხოვრობენ. მუშას, და წარმოიდგინეთ პატიოსანი შრომით მცხოვრებ ადამიანსაც კი, ოცნებაშიც არ შეეძლო, რომ ოდესმე საკუთარი ბინა ჰქონოდა.

დიასახლისმა ბაღში გაგვიყვანა და იქ სკამებზე მოგვათავსა. რა კარგად არის მოვლილი ყველაფერი. ბოსტნეულის ნარგავები, ხეხილი, აგრეთვე შინაურ ფრინველები, ყვავილნარები და სხვა. აი, რა ვნახეთ ბინის გარეთ. — ეს სახლი ჩვენ მთავრობამ აგვიშენა, — გვიყვება პატარა მეუღლე, — იგი 6.000 მარკა დაჯდა და ჩვენ თვეურად 25 მარკას ვიხდით. ერთი წლის შემდეგ ჩვენ უკვე დავამთავრებთ სახელმწიფოს ვალის გადახდას. დანარჩენი კი რასაც ხედავთ ჩვენი შრომით არის შეძენილი და გაკეთებული.

წამოსვლისას, 4 წლის ოქროსთმიანმა გოგონამ ყვავილების თაიგული მოგვაწოდა და ჩვენც ნაზიდით დამტკბარი და გაოცებული მანქანაში ჩავსხედით.

9.

7-8 კილომეტრი სულ რამოდენიმე წუთში გავიარეთ და სოფელ რაიხენბერგში გავჩერდით. ხელმძღვანელებს სურთ გვაჩვენონ მეურნეობაც ვნახოთ. პირველივე ეზოს მივადექით.

— თხვალდ იაკობ! — წარმოსდგა თავისი სახელი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო გლეხმა და ყველას ხელი ჩამოგვართვა, აი, რა გვიამბო მან: მის საკუთრებაში არის 15 ჰექტარი მიწა, 3 ცხენი, 9 ძროხა, 6 ღორი და სხვა წვრილფეხა. ქათმების და სხვა შინაური ფრინველის რიცხვი კარგად არ იცოდა. მისი წლიური საბრუნავი თანხა 8 ათას მარკას შეადგენს. წელიწადში იხდის გადასახადს 150 მარკას. სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებს, რომელიც მას არ სჭირდება თავის პირადი საჭიროებისათვის, იგი ჰყიდის. ხოლო ფული, იმისთვის წლებში, აბარებს სახელმწიფოს დაწესებულ ფასებში.

რამოდენიმე საათს დავყავით ჩვენ თხვალდ იაკობის ოჯახში. მან დაგვათვალიერებინა თავისი მანქანა-იარაღები, საქონელი, ეზო, ბაღი და შენობის საცხოვრებელი ბინა. აქაც იგივე სისუფთავე და წესრიგი იყო გამეფებული, როგორც ქალაქში ვნახეთ მუშის ოჯახში. სამი ოთახი, აბანო, სამზა-

ასე გამოიყურება შუაგერმანიის ერთ-ერთი სოფლის მიდამო...

რეულო. მეორე სართულზე, სოფლის მეურნეს საკუჭნაო აქვს მოწყობილი. აქ ინახება მისი სანაშენო და წლიური მარაგი. ხის კიბით ავედით ზევით და გვეჩვენა სამეურნეო მიგვითითა თავის დოვლათზე: 200-მდე ქილა მურაბა კომპოტი, ლორის შაშხი დაახლოებით 300 კილოგრამამდე, შინაური ძეხვი 100 კილოგრამამდე, 2 ტომარა თეთრი ფქვილი და კარტოფილის მთელი მთა. გარდა ამისა, ვნახეთ მრავალი მოსტანილი, ხილი და სხვა სურსათ-სანოვაგე.

იმავე დღეს გავემგზავრეთ მორიცბურგის ციხე-კოშკის სანახავად. მშვენიერი ადგილი შეურჩევია კურფიურსტ მორიცს თავისი სასახლისთვის. ჩვენ თვალწინ თვალწარმტაცი ხედი გადაიშალა. ირგვლივ წიწვიანი ტყე. მოლურჯო ტბა და მასში შემკული მოგრძო ნახევარკუნძული. კიდეებში კოშკებით თავდება იგი, უფრო სწორად კოშკი კედლებს რეცხავს ტბის სუფთა ტალღები. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში შექმნილა გერმანულ ხალხს ეს მომხიბლავი სანახაობა. სასახლეს მეტად ორიგინალური იერი აქვს საუცხოოდ დაცული: წელიწადში 4 დროა — სასახლესაც ოთხივე კუთხეში მთლიანი ციხე-კოშკები აქვს, წელიწადში 12 თვეა, სასახლესაც 12 დარბაზი აქვს, წელიწადში 52 კვირაა — სასახლესაც 52 კარები აქვს, წელიწადში 365 დღეა — სასახლესაც 365 ფანჯარა აქვს. ფეოდალური ხელის მატარებელია ეს ნაგებობა. მისი სადღეობო მორთულ ისეთი იდუმალებითა და ფანტაზიით აღსავსე მისწავს ტბაში, რომ წარუშლელ კვალს სტოვებს მნახველის მეხსიერებაში.

☆

ძნელია რიგითი მოხალისისათვის, გერმანიაში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებების უფრო სრულად და მხატვრულად გადმოცემა, როგორც ჩვენ ეს გავაკეთეთ. ჩვენ ვნახეთ უსაზღვროდ მოწესრიგებული და სამართლიანი ქვეყანა. ვნახეთ მხარე, სადაც შრომა ითვლება განუყოფელ ნაწილად თითოეულ მოქალაქის არსებობისა. გავეცანით უაღრესად პატიოსანი, შრომისმოყვარე, კულტურული, თავდადებით განათლებული და წესიერი ხალხი. დავრწმუნდით, რომ შრომისა და ყოფის სოციალისტური წესება მხოლოდ აქ, გერმანიაში ყოფილა განხორციელებული.

ჩვენ დავრწმუნდით აგრეთვე, რომ ბოლშევიკური სამყაროს მთელი სისტემა იყო სიცრუეზე დამყარებული კი, მოგვიმზადეს ჩვენს მოსატყუებლად. ეხლა, თითოეულმა ჩვენგანმა უკვე გარკვევით იცის, რომ საბჭოთა კავშირში მოკლებული ვიყავით:

მუშები — თავისუფლებისა და დასვენების;

გლეხები — კერძო საკუთრების, ინიციატივის, დოვლათისა და მიწის;

ინტელიგენცია — მუშაობის შესაძლებლობის, კულტურულ ცხოვრების, ადამიანურ პირობების, ბინისა და უნარის გაშლის;

მამაკაცი — ოჯახის სიტკბოს, ნორმალურ კვებისა და დასვენების;

ქალი — საკუთარ ოჯახს, ქმრის მზრუნველ ხელს;

ბავშვი — ნორმალურ აღზრდისა და უზრუნველყოფილ ცხოვრების;

ყველა ერთად კი, მოკლებული ვიყავით სიწმინდისა, თავისუფლების, ადამიანურ ცხოვრების. დიახ! ჩვენ არ გვქონდა მხიარულება, სიყვარულის გრძნობა, ერთმანეთისადმი პატივისცემა, შრომისა და დასვენების საშუალება.

ყველაფერი ეს ჩვენ დავკარგეთ საბჭოთა კავშირში, სამაგიეროდ მხოლოდ მუდმივი შიში მოგვეზღვა.

ეხლა, როდესაც გერმანიაში ჩვენ ვნახეთ სრულიად საწინააღმდეგო სურათი, როდესაც შევიგნეთ, რომ ასეთი ცხოვრების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ დაუღალავი შრომითა და ბრძოლით, ჩვენი გადაწყვეტილება — ვიბრძოლოთ ბოლშევიზმის წინააღმდეგ კიდევ უფრო მტკიცდება და კრევდება.

დიახ, ჩვენ ვიბრძოლებთ, და ვიბრძოლებთ სრულ გამარჯვებამდე.

საქსონია. მორიცბურგის სანადირო კოშკი.

მკითხველის წერილებიდან

ბოლოს „წინასწარმეტყველება"

ამ რამოდენიმე ხნის წინათ, ნიუ-იორკში ჩატარდა „მშობელი, ინტერესი მნიშვნელობის" [illegible] ... ჩვენ არ დავინტერესდებოდით მერამდენე იყო იგი ... „ჩვენ უნდა საბჭოეთის დავუკავშირდეთ ერთად [illegible]").

წარმოიდგინეთ, რომ ამჯერად რუზველტის თანაშემწე [illegible] ... დღეს თვითმფრინავებით [illegible]:

„არ არის არავითარი გარანტია, რომ ჩვენ არ მივაღწიოთ შეთანხმებას ... და შემდეგ დავიწყოთ იგი..."

რას ნიშნავს ეს ამბავი? [illegible]

მოხ. ნ. თ.

სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ...



გერმანული ტანკი „ტიგრი" ბრძოლების მოლოდინში.

საინტერესო თემაზე

ფეხბურთის მოთამაშე იმპერატორი

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ფეხბურთით გატაცებულია საზოგადოების დიდი ნაწილი, ძნელად თუ ვინმემ იცის, საიდან წარმოსდგება იგი და რამდენი ხნის ისტორია აქვს მას. ეხლა უკვე გამორკვეულია, რომ ფეხბურთის გამომგონებელი არის ჩინეთის იმპერატორი ჩენგ-ტი, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე დაახლოვებით 300 წლით ადრე ცხოვრობდა. მას იმდენად მოსწონდა ფეხბურთი, რომ გართობის დროს, მუდამ სპორტის ამ სახეს მიმართავდა.

ჩენგ-ტის ბურთი არ იყო ტყავის ან რეზინის. იგი წარმოადგენდა ხის ბირთვს, რომელსაც იმგვარადვე აგორებდნენ ფეხით, როგორც დღეს ჩვეულებრივ ფეხბურთის აგორებენ. თამაშის წესების უმრავლესობაც თითქმის იგივე იყო, რაც ეხლა არსებობს. კარების ნაცვლად, მოედანზე მათ დასიშნული ჰქონდათ ზღუდე, რომელსაც იცავდა არა ერთი კაცი — მეკარე, არამედ მთელი ჯგუფი.

იმპერატორის ამალასა და სასახლის უმაღლეს წოდებას არ მოსწონდა ეს თამაში. იმპერატორის გატაცებას ისინი არ იზიარებდნენ. მათ მიუღებლად მიაჩნდათ ის გარემოება, რომ სამეფოს მეთაური, მრავალი მაყურებლის წინაშე დასდევდა ფეხბურთს და ხანდახან კიდეც გაიშლართებოდა ხოლმე მოედანზე.

ჩენგ-ტის მეგობრების ყოველგვარი ცდა, რომ იმპერატორის თავი დაეხსენებინა ამ საკვირველი ჩვეულებისათვის, ამაო იყო. ვერ გასჭრა სასახლის ექიმის რჩევამაც, რომ ბურთის თამაში ვნებდა მის ჯანმრთელობას. ჩენგ-ტი მათ ღიმილით უპასუხებდა: ყველაფერი, რასაც ადამიანი სიყვარულითა და ინტერესით აკეთებს, მას კი არ ვნებს, არამედ პირიქით, მისთვის დიდი ბედნიერება და სიხარული მოაქვსო.

სასახლის გავლენიანმა პირებმა მიმმართეს დედოფალს, რათა მას მოეხდინა რაიმე გავლენა მეუღლეზე. დედოფალი ყველა საშუალებით შეეცადა შეეჩერებინა მოთი თამაშა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და იმპერატორი ფეხბურთის თამაშს ვერ გადააჩვია. პირიქით, ჩენგ-ტი უფრო მეტი თავდადებით განაგრძობდა თამაშს. ყოველწლიურად, თავის დაბადების დღეს, იგი ფეხბურთის მოთამაშე გუნდების შეჯიბრებებს აწყობდა, რომელსაც მთელი ამალა უნდა დასწრებოდა. შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდს ჩენგ-ტი უხვად აჯილდოვებდა სხვადასხვა ძვირფასი საჩუქრებით: ვერცხლის თასებით, აბრეშუმის ქსოვილებით, ტაბილეულობით, სასმელებითა და ყვავილებით, ხოლო დამარცხებულთ მათრახის ცემით მოედანს შემოარბენინებდნენ ხოლმე.

ვ. ზრანდიკერი

[illegible]

მოხ. თ. ჩოხელამ.

ქართული კულტურის ქრონიკა

ბ-ნი გრ. დიასამიძის მოხსენება

კვირას, 22 ოქტომბერს, სასტუმრო „რუსიშერ ჰოფში" შედგა ბერლინის ქართული კოლონიის მორიგი კრება, რომელზედაც ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ბ-მა გრ. დიასამიძემ წაიკითხა მოხსენება — გ. ერისთავისა და ი. მეუნარგიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მოხსენება მეტად საინტერესო იყო და დამსწრეთა შორის ცოცხალი ინტერესი გამოიწვია. ქართული კოლონიის გამგეობას განზრახული აქვს მომავალშიც მოიწვიოს მსგავსი შინაარსის მოხსენებები.

ჟურნალი „ქართველი მხედარი"

ქართული საკავშირო შტაბი ამზადებს და მოკლე ხანში გამოსცემს ქართველ ოფიცერთა პერიოდულ ორგანოს — „ქართველ მხედარს". ჟურნალში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ქართველ ოფიცერს.

ნარევი

ტყვიების შეხვედრა

1916 წლის 29 იანვარს, ქასაფლეოის ფრონტზე, ფრანგი ჯარისკაცის მიერ ნასროლი ტყვია მოხვდა გერმანელი მებრძოლის შაშხანის ლულაში. ტყვიამ ავსტრო-ს ნასროლად გამოსულიყო ვაზნა, რის შედეგად გასკდა შაშხანის ხახაზიანი ნაწილი. ჯარისკაცი, რომელსაც ხელში ეჭირა შაშხანა, სრულიად არ დაშავებულა, მტერის ტყვიამ მას არავითარი ზიანი ვერ მიაყენა.

მსგავსი შემთხვევა მოხდა 1918 წელს 28 ივნისს, ... რაიონში. ... ნაწილის ერთმა მსროლელმა ... თავისი ტყვია ... ჯარისკაცის ტყვიამფრქვევის ლულაში.

ასეთივე შემთხვევას აღწერს მქონდა ცნობილი ... [illegible]

1793 წელს, ... [illegible]

[illegible]

იშვიათი სიმბიოზი

ცხოველებისა და ფრინველთა შორის არსებული სიმბიოზის გარდა, ცნობილია კიდევ ერთი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი სიმბიოზი. იგი არსებობს ადამიანისა და ფუტკრის გზამკვლევი ჩიტის შორის. ფუტკრის გზამკვლევი, ბეღურის მსგავსი პატარა ფრინველია, რომელიც აფრიკაში ბინადრობს. ... [illegible]

საპნის ხე

ტროპიკულ ინდოეთსა და სამხრეთ ამერიკაში იზრდება ევერგრინიანი საპნის ხე (Sapindus soponaria L.). მისი სიმაღლე დაახლოვებით 10 მეტრამდე აღწევს.

საპნის ხის ნაყოფები ... [illegible]

ნაყოფს, წყალში, ... [illegible] ... ... თეთრეულის რეცხვის დროს.

სამოქალაქო პანაშვიდი

რამოდენიმე დღის წინათ, ბერლინის ქართული კოლონიის გამგეობამ მოაწყო სამოქალაქო პანაშვიდი, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი ... თავმჯდომარის ვ. წერეთლის გარდაცვალების გამო. პანაშვიდს დაესწრნენ ... წევრები და ქართველი მოსახლეობა. ... [illegible] ... ბერლინის ქართული საზოგადოება.

სამოქალაქო პანაშვიდზე წაკითხული იქნა ბ. ბ. მიხ. წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის და ... სიტყვები.

მოგონებებით, ... ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, გამოვიდნენ ... ბ-ნი დიასამიძე და ბ-ნი ალ. კორძაია.

პ/მბ. რედაქტორის მოვალეობის დროებითი ამსრულებელი
გრ. ჩადუნელი

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.

ქართული სტამბა არიოლ მეტრეველისა